# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 4 აპრილი 2006 №74 (2696) ფასი 50 თეთრი



## დინამოს სკამიდან ჩემპიონთა ლიგამდე

ინტერვიუ ლევან მელქაძესთან

3



## აბრამოვიჩი შევჩენკოს ცოლის მხრიდან მიადგა

7



## დღეს

მილანი — ლიონი
სან სიროზე,
ვილიარეალი — ინტერი
ელ მადრიგალზე

8

# მარტის თვეა შენი...



## კახა კალაძე ევრომედიამ ევრონაკრებში შეიყვანა

საქართველოს ნაკრების კაპიტანი და იტალიური „მილანის" მცველი კახა კალაძე მარტის ევროპის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. გამოკითხვას ევროპის სპორტულ გამოცემათა საერთაშორისო ასოციაცია ატარებს და ათი ცნობილი გამოცემიდან კალაძე ოთხმა შეიყვანა ნაკრებში.

ხმის მიცემის უფლებით პორტუგალიური „ა ბოლა", ესპანური „დონ ბალონი", თურქული „ფანატიკი", ბელგიური „ფუტ მეგეზინი", გერმანული „კიკერი", იტალიური „გაძეტა დელო სპორტი", დანიური „ტიპს ბლადეტი", ჰოლანდიური „ფუტბოლ ინტერნეშნლი", ინგლისური „უორლდ სოკერი" და რუსული „სპორტ-ექსპრესი" სარგებლობენ.

მარტის სიმბოლური ნაკრები კი ასეთია: *ლემანი („არსენალი", 3 ხმა), ებუ („არსენალი", 3), ტურე („არსენალი", 3), კრისი („ლიონი", 4),* ***კალაძე*** *(„მილანი", 4), ტიაგუ („ლიონი", 3), კაკა („მილანი", 3), ფაბრეგასი („არსენალი", 8), რონალდინიო („ბარსელონა", 9), შევჩენკო („მილანი", 7), ანრი („არსენალი", 7).*

შეგახსენებთ, რომ ამავე ასოციაციის გამოკითხვით, თებერვლის სიმბოლურში „ალკმაარის" ქართველი მეგოლე შოთა არველაძე მოხვდა.

# ვიქტორია და ჩვენი ფრენბურთის ისტორია

## ევროპამ ქენარი ვარსკვლავები თბილისს სამი დღით ანდო



საინტერესო და მოულოდნელი სურათი ახლო მომავლიდან: გლდანში დაბადებულ-გაზრდილი, ახლა საფრანგეთის მოქალაქე და ევროპის სამგზის უძვირფასესი ფრენბურთელი ქალი ვიქტორია რავა საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ...

მშვენიერი ვიქტორია ფრენბურთიდან ეგებ ისე წასულიყო, მისი თამაში ცოცხლად ვერც გვენახა, მაგრამ, რაც ცოტა ხნის წინ წარმოუდგენელი იყო, ახლა რეალურია. ფრენბურთის ევროპის ფედერაციამ საქართველო საიმედო ქვეყანათა ამქარში გარია და 2007 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის C ჯგუფის პირველი წრის მასპინძლობა უბოძა. საქართველოს ნაკრები სწორედ ამ ჯგუფიდან შეეცდება ევროელიტაში გარევას. მეტოქეებად კი ვიქტორია რავას საფრანგეთი, გერმანია და ლატვია ჰყავს. ტურნირი 26-28 მაისს სპორტის სასახლეში ჩატარდება.

რავა ერთადერთი ვარსკვლავი არ იქნება, ვინც სპორტის სასახლეში გაიქნევს ხელს. გერმანიასაც ჰყავს თავისი ვარსკვლავი — იტალიური „ბერგამოს" ზემოიერიშე ანგელინა გრიუნი, რომელიც წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო მომწოდებელი გახდა.

შესარჩევი ტურნირის ჩვენი ჯგუფის მეორე, გადამწყვეტი წრე 4-6 ივნისს საფრანგეთში გაიმართება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რალფინირებული პოლიტიკა



რალფ მინგე

ასე ვიცოდით, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობა რალფ მინგეს დღეს უნდა დაესახელებინა. მალტაში გასამართ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩამდე ათი დღეც აღარ დარჩა, ჩვენი მეტოქე გუნდის შემადგენლობა კარგა ხანია ცნობილია, ჰერ რალფი კი არ ჩქარობს.

ახალგაზრდულის დამრიგებელი შაბათს „ამერი“ — „ბათუმს“ დაესწრო“, მაგრამ ჩანს, ეს არ კმარა და რჩეულთა სიას მხოლოდ ხვალინდელ ტურზე დასწრების შემდეგ გამოაცხადებს. ერთ შეხვედრას თავად მინგე დაესწრება, მეორეს ჰერბერტ ცანკერი, მესამეს კი ჰაინც ტოპმიოლერი, რომელიც ხვალ დილით ჩამოფრინდება თბილისში.

რაც შეეხება დაპირებულ პრესკონფერენციას, პარასკევს, უკეთეს შემთხვევაში კი, ხუთშაბათს გაიმართება. გასაგებია რალფ მინგეს სურვილი, ბოლომდე გამოიყენოს ნაკრების კანდიდატებზე დაკვირვების შესაძლებლობა, მაგრამ ისიცაა, რომ ლეგიონერთა კლუბებში გამოძახების ფურცლები უკვე გაგზავნილია და ვერაფერს შევცვლით. ამდენად, ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობის „უცხოური ნაწილის“ გაცხადება მაინც სავსებით შესაძლებელი იყო.

ჰერ კლაუსი? ასაკით უმცროსმა და რანგით უფროსმა ტოპმიოლერმა უკრაინა მოიარა და გერმანიაში დაბრუნდა. მალტაში ახალგაზრდული ნაკრების გამგზავრებამდე საქართველოში მისი სტუმრობა არ იგეგმება — ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გერმანიიდან მიადევნებს თვალს ჩვენს ლეგიონერებს.

**გიორგი ნოზაძე**



# თურქული ნორმა

## გერმანელებმა ქანდაში ჩასვლა იჩქარეს

**გერმანელ** ექსპერტთა ოთხკაციანმა ჯგუფმა, რომელსაც მეგზურობას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი უწევდა, გუშინ ქანდას სამინდვრე მეურნეობა და ზესტაფონის ცენტრალური სტადიონი ინახულა. სტუმრებს პასუხი უნდა გაეცათ კითხვაზე, ეროვნულსა და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონებზე ადგილობრივი წარმოების (ქანდის) ბალახის საფარის დაგება სჯობს თუ თურქეთიდან შემოტანილი „ხალიჩის“ (როგორც ზესტაფონშია).

ქანდის მეურნეობაში წარმოებული საფარის ხარისხზე საუბარი ჯერ ადრეა. სულ ცოტა, თვენახევარია საჭირო, რომ ბალახი წამოიზარდოს. თანაც, ამ მეურნეობის მასშტაბები არ იძლევა საშუალებას, ყველა ქართული კლუბის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.

სტუმრებს ქანდაში პროექტის ხელმძღვანელი ლევან ცხოვრებაშვილი დახვდათ, რომელმაც დეტალური ინფორმაცია მიაწოდა მიმდინარე სამუშაოების შესახებ. გერმანელებმა კმაყოფილება გამოთქვეს, რომ საქართველოს არიან კვალიფიციური კადრები, რომლებსაც შეუძლიათ სათანადო ხელშეწყობის შემთხვევაში, თავი გაართვან ჩვენს სტადიონებზე საფარის გამოცვლის პროცესს.

ზესტაფონში ფოლკერ ფიბიგერის ჯგუფის წევრებმა ნიადაგის სინჯები აიღეს. მათი თქმით, გრუნტის სისქე და სხვა პარამეტრები ნორმის ფარგლებშია. ეს იმას ნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში, შეგვიძლია თურქეთიდან შემოვიტანოთ ბუნებრივი საფარი.

ორი დღის მანძილზე გერმანულმა დელეგაციამ საკმაო ინფორმაცია მოიძია და ხვალ საღამოს სამშობლოში დაბრუნდება. მოგვიანებით, ისინი ფეხბურთის ფედერაციას მიაწვდიან შესაბამის დასკვნას, როგორც სტადიონების კონსტრუქციის და უსაფრთხოების ნორმების, ასევე მინდვრის საფარის თაობაზე.

შესაძლოა, დღეს გერმანელები ფედერაციის პრეზიდენტთან ერთად სპორტულ მედიას პრესკონფერენციაზე შეხვდნენ და უფრო დაწვრილებით ისაუბრონ ქართულ შთაბეჭდილებებზე.

**გიორგი ნოზაძე**

თბილისის „დინამოდან“ ნორვეგიის ჩემპიონ „ვოლერენგაში“ ნასულმა ლევან მელქაძემ ახალ კლუბთან კონტრაქტი პარასკევს გააფორმა, კვირას კი ამხანაგურ მატჩში გოლის გატანაც მოასწრო...

„დინამოდან“ „ვოლერენგაში“ მელქაძის ტრანსფერი, ცოტა არ იყოს, მოულოდნელიც იყო. ლევანი, რომელსაც ნორვეგიაში ნასვლამდეც ბევრჯერ უთქვამს, საქართველოში ჩემი შესაძლებლობები ამოვწურეო, „დინამო“ — „ვიტ ჯორჯიას“ შეხვედრას ტრიბუნიდან უცქერდა, როცა დაურეკეს და...



# ლევან მელქაძე — დინამოს სკამიდან ჩემპიონთა ლიგამდე

— თუ გახსოვთ, „ვიტ ჯორჯიამდე“ „ცხინვალთან“ მატჩის განაცხადშიც არ ვიყავი, მწვრთნელმა ასე ჩაათვალა საჭიროდ — გვითხრა ლევან მელქაძემ, რომელსაც გუშინ ნორვეგიაში დავუკავშირდით — „ვიტ ჯორჯიასთან“ თამაშის დროსაც ტრიბუნაზე ვიყავი, როცა მოულოდნელად დამირეკეს და მითხრეს, „ვოლერენგადან“ ფაქსი მოვიდა, ხვალვე ნორვეგიაში უნდა გაემგზავროო. შინ მივედი, ბარგი ჩავალაგე და წამოვედი.

— „ვოლერენგასთან“ მოლაპარაკებებს დრო არც დასჭირვებია?

— საქმე ჩემს აგენტებს მიჰყავდათ. თავად კი ნორვეგიაში ჩამოვედი თუ არა, სამედიცინო შემოწმება გავიარე და საღამოს უკვე კონტრაქტი გავაფორმე.

— ნორვეგიაში მარტო გაემგზავრე?

— თბილისიდან მარტო წამოვედი, აეროპორტში კი მეორე აგენტი დამხვდა და „ვოლერენგას“ ხელმძღვანელობაც მან გამაცნო. როგორც მოგვიანებით მითხრეს, „ვოლერენგას“ ჩემზე დაწვრილებითი ინფორმაცია ჰქონდა და კონტრაქტზე ხელმოწერამდეც არანაირი პრობლემა არ ყოფილა.

— ისე, ნორვეგია ძალიან შორია...

— შორია, მაგრამ აქ ფეხბურთი ნამდვილად არ დაიწუნება. ვერ ვიტყვი, რომ ნორვეგიის ჩემპიონატში უმაღლესი დონეა, უფრო საშუალო ევროპული ეთქმის. თანაც „ვოლერენგაში“ ტორე-ანდრე ფლო და სტეფან ივერსენი თამაშობენ.

— ნორვეგიაში სადებიუტო მატჩი უკვე ჩაატარე და გოლიც გაიტანე. გაკმაყოფილებს საფეხბურთო ნორვეგია?

— რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. თანაც წინ ჩემპიონთა ლიგაა...

— „ვოლერენგასთან“ რამდენწლიანი კონტრაქტი გააფორმე?

— ჯერჯერობით ცხრათვიანი, ანუ ერთ სეზონს ვითამაშებ, მერე კი ვნახოთ... ნორვეგიის ჩემპიონატი 9 აპრილს იწყება. იქამდე კი, ხვალ გერმანიაში ოთხდღიან შეკრებაზე მივემგზავრებით.

— ჩემპიონთა ლიგაში „ვოლერენგასგან“ რას ველოდოთ?

— „ვოლერენგა“ მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებს ჩემპიონთა ლიგას და კლუბის უმთავრესი მიზანი ჯგუფში მოხვედრაა.

**ძოგა ინასარიძე**

# ღვინიანიძემ ტოპში ტოპი დაინახა

მათე ღვინიანიძე ახალი თაობის ალბათ ყველაზე გამორჩეული ქართველი მცველია. 19 წლის მათე მოსკოვის „ლოკომოტივის“ დუბლებშია, თუმცა კლაუს ტოპმიოლერმა თავისი საქმე იცის — საქართველოს ნაკრების თავკაცმა მალტაზეც და ალბანეთშიც ძირითადში ათამაშა და მათემაც გაუმართლა.

ჩვენთან საუბარში ღვინიანიძე ტოპმიოლერის დიდ სამწვრთნელო მეთოდებზე ლაპარაკობს, საკუთარი თავის ქება კი არც უცდია...




— ვფიქრობ, ალბანეთთან ჩვეულებრივ ვითამაშე. ისეთი არაფერი გამიკეთებია, შეცდომებიც მქონდა...

— განსაკუთრებით რა კომპონენტებს აქცევს ყურადღებას ტოპმიოლერი?

— მალტაზე ყოფნისას კარგა ხანს მელაპარაკა. ყველაფერი გამომკითხა, როგორ სიტუაციაში ვარ „ლოკომოტივში“, მანამდე სად ვთამაშობდი... ალბანეთთან კი მწვრთნელმა ძალიან მარტივად აგვიხსნა, როგორ უნდა გვეთამაშა და თან ისე, რომ ყველანაირ ნერვიულობას ხსნის, თითქოს წინასწარ იცი, რომ მოგებული გაქვს. ტოპმიოლერი წარმოუდგენლად ძლიერი მწვრთნელია.

— 12 აპრილს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები სტუმრად მალტას ეთამაშება და ალბათ „ლოკომოტივი“ ისეთ პრობლემებს აღარ შეგიქმნის, როგორც ალბანეთთან მატჩისას იყო...

— ჩემთვის ნაკრები ყველაფერზე მაღლა დგას. ჯერ ერთი, ხელს ვერ შემიშლიან და მასეც რომ გააკეთონ, მაინც ჩამოვალ.

— ეროვნული ნაკრების წევრიც ხარ და, ალბათ, „ლოკომოტივის“ დუბლებში თამაში არ გხიბლავს. როდის შეიძლება ძირითად გუნდში გიხილოთ?

— შარშან ძირითად გუნდში ვიყავი, მაგრამ ტრავმამ ბევრი დამაკარგვინა. სლადოლიუბ მუსლინი უფრო გამოცდილ ფეხბურთელებს ენდობა, მე კი ჯერ 19 წლის ვარ. ვფიქრობ, შანსი აუცილებლად მომეცემა, დუბლებიდან ძირითადი გუნდი ცხრა მთას იქით არაა, მაგრამ მთავარია, ეს მალე მოხდეს. ვნახოთ...

**ილია ნანოგაშვილი**

**გერმანია**
მეორე ბუნდესლიგა
XXVIII ტური
ალემანია 1:0 მიუნხენი

**საბერძნეთი**
ნაციონალ ლიგა
XXVI ტური
ირაკლისი 2:0 ოლიმპიაკოსი

**საფრანგეთი**
II დივიზიონი
XXXII ტური
გრენობლი 5:1 ბასტია

**პორტუგალია**
სუპერლიგა
XXIX ტური
რიუ ავე 1:0 სეტუბალი

**იტალია**
სერია B. XXXV ტური
ტრიესტინა 2:0 პესკარა
სერია C1/B. XXIX ტური
ტორესი 0:0 ფროსინონე

**ინგლისი**
პრემიერლიგა. XXXII ტური
ბლექბერნი 1:1 უიგანი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა
**რევაზ ჩილაჩავა**
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს


ბექა [illegible] ფოტო

# ილია კოკაია: უცხოელის მოწვევას ჯერ არ ვაპირებთ

კლუბის განვითარების პოლიტიკაზე „ზესტაფონის“ პრეზიდენტ ილია კოკაიას და გუნდის აწ უკვე ყოფილ მწვრთნელ თემურ მახარაძეს განსხვავებული აზრი ჰქონდათ და გუნდიდან წასვლა თვითონ მწვრთნელმა გადაწყვიტა — ასეთია „ზესტაფონის“ ოფიციალური ვერსია მახარაძის გადადგომის თაობაზე. კლუბის პრეზიდენტი კოკაია ახლა უცხოეთშია და დავინტერესდით, ისეთ რა საკლუბო პოლიტიკას ირჩევს ის, რის გამოც მწვრთნელი მასთან ვერ შეთანხმდა. დავინტერესდით იმითაც, აპირებს თუ არა კოკაია უცხოელი მწვრთნელის მიწვევას „ზესტაფონში“. კლუბის პრეზიდენტს ჩვენი კითხვები „ზესტაფონის“ პრესსამსახურის უფროს სერგო ფუტკარაძის მეშვეობით მივაწოდეთ და პასუხებმაც არ დაახანა...

— ერთადერთი სურვილი გვაქვს: შევქმნათ ისეთი გუნდი, რომელსაც სერიოზულ ძალად აღიქვამენ ევროსარბიელზე; რომელიც ინფრასტრუქტურით გაუთანაბრდება ევროპულ სტანდარტებს. ამის გაკეთება ერთ წელიწადში შეუძლებელია, ამას დროს სჭირდება და ზუსტად რამდენ ხანში შევძლებთ, ძნელი სათქმელია.

— რაც შეეხება უცხოელი მწვრთნელის მოწვევას, ეს საკითხი ამ ეტაპზე დღის წესრიგში არ დგას. ამისთვის „ზესტაფონი“ ჯერ მზად არ არის.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან
მაგთიზე და ჯეოსელზე
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
25 თეთრად

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

სიახლე
ჯეოსელისგან
ჯეო-მიქსი!

GEO *123#
ჯეო MIX მიქსი

აკრიფეთ
*123*9# YES

და
მომენტალურად
დაადგინეთ
მიმდინარე
საფეხბურთო
მატჩების ანგარიშები

SCORE LIVE

wap.geocell.com.ge

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე წრე

22 ტური აქცენტებში

22-ე ტურმა ორი „რეკორდსმენი" დაგვიტოვა: ექვსი მოგება და ერთი ფრე — ასეთი შედეგი მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრეში მხოლოდ ორ გუნდს აქვს — ბოლნისის „სიონს" და „ბათუმს". ის ერთი ფრეც ამ გუნდებმა ერთმანეთთან ითამაშეს...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 22 | 17 | 3 | 2 | 41:15 | 54 |
| ვიტ ჯორჯია | 22 | 16 | 4 | 2 | 43:12 | 52 |
| ზესტაფონი | 22 | 13 | 5 | 4 | 31:17 | 44 |
| დინამო | 22 | 13 | 4 | 5 | 36:17 | 43 |
| ბორჯომი | 22 | 13 | 2 | 7 | 38:19 | 41 |
| ამერი | 22 | 13 | 2 | 7 | 27:15 | 41 |
| ბათუმი | 22 | 12 | 5 | 5 | 29:16 | 41 |
| ლოკომოტივი | 22 | 10 | 4 | 8 | 32:27 | 34 |
| კოლხეთი | 22 | 8 | 4 | 10 | 20:23 | 28 |
| ტორპედო | 22 | 6 | 6 | 10 | 18:26 | 24 |
| კახეთი | 22 | 7 | 2 | 13 | 20:30 | 23 |
| დილა | 22 | 6 | 3 | 13 | 23:31 | 21 |
| ცხინვალი | 22 | 6 | 3 | 13 | 19:41 | 21 |
| სოხუმი | 22 | 4 | 2 | 16 | 21:49 | 14 |
| სპარტაკი | 22 | 2 | 5 | 15 | 5:37 | 11 |
| თბილისი | 22 | 2 | 2 | 18 | 12:40 | 8 |

# ბოლნისი მოსკოვს აუფორიაქებია

ბოლნისის „სიონის" გამარჯვებათა სერია ბევრს უკვირს და ჩვენც ალალად გაგვიკვირდა, როცა გავიგეთ, რომ გუნდს ექვსი მოგების პრემია და პლუს, ერთი თვის ხელფასი არ აუღია. როგორც შევიტყვეთ, ბოლნისის რაიონის გამგებელი გია არევაძე თანხას არ აკლებს გუნდს, ეგაა, ეს ხელფას-პრემიები „მადნეულის" ძველი დავალიანების გასტუმრების შემდეგ უნდა დარიგებულიყო.

როგორც „სიონის" გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა გვითხრა, „მადნეულის" გენერალური დირექტორი კობა ნაყოფია შეუძლოდ ყოფილა და მიზეზიც საპატიო გამოდის: „ნაყოფიამ გვითხრა, რომ მოსკოვში იყო ოპერაციის გასაკეთებლად და ხვალ შუადღისთვის კუთვნილი თანხა მთლიანად გადაეცემა „სიონს". თუ ეს პირობაც არ შესრულდა, მაშინ აღარ ყოფილა საშველი."

ბოლნისელებს კი ხვალ ურთულესი გამოცდა ელით — „ზესტაფონს" სტუმრად ეთამაშებიან და თუ ეს მატჩიც მოიგეს...

**ილია ნანობაშვილი**



ბადრი კოპალიანის ფოტო

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 14-მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| 11-დვალი | სიონი/დინამო |
| იონანიძე | ზესტაფონი |
| მეგრელაძე | დინამო |
| 10-მიქუჩაძე | სიონი |
| 9-მეგრელაძე | დინამო |
| დოლიძე | სიონი/ამერი |
| დავითაშვილი | ამერი |
| ბობოხიძე | დინამო |
| 8-ქორიძე | ბორჯომი |
| სულთანიშვილი | დილა/ცხინვალი |
| ქუთათელაძე | კოლხეთი |

### მომდევნო ტური

5 აპრილი, ოთხშაბათი

ვიტ ჯორჯია – ამერი
ცხინვალი – ბორჯომი
ზესტაფონი – სიონი
თბილისი – ტორპედო
სოხუმი – დილა
კოლხეთი – ბათუმი
დინამო – სპარტაკი
კახეთი – ლოკომოტივი

# ოთარ გაბელია: ჩემპიონი სიონი გახდება



ბადრი კოპალიანის ფოტო

„ბათუმს" პროგრესი მაშინ დაეტყო, რაც გუნდი ოთარ გაბელიამ ჩაიბარა და რამდენიმე ახალი ფეხბურთელი დაიმატა. პირველ წრეში დაკარგული ქულების გამო ბათუმელები ამ სეზონში მაღალი ადგილებისთვის ალბათ ველარ იბრძოლებენ, თუმცა, სავსებით შესაძლებელია, ინტერტოტოს საგზურს შესწვდნენ. ამ და სხვა საკითხებზე „ბათუმის" თავკაც ოთარ გაბელიას ვესაუბრეთ...

— „ამერთან" გამარჯვების შემდეგ რომელიმე ევროსაგზურისთვის ბრძოლას არ აპირებთ?

— ჩვენ გეგმას მივყვებით, გუნდის ფორმირების სტადიაში ვართ. სეზონის დამთავრების შემდეგ „ბათუმში" კვლავ იქნება საკადრო ცვლილებები. მოკლედ, მომდევნო სეზონისთვის უკეთესი გუნდის შექმნაზე ვმუშაობთ, მაგრამ თუ ამ სეზონში მივაღწევთ რაიმე წარმატებას, ცხადია, ურიგო არ იქნება.

— „ბათუმის" ბოლოდროინდელ შედეგებს ყველაზე უფრო რა განაპირობებს?

— მეორე წრისთვის ნორმალური ფეხბურთელები დავიმატეთ. ყველა, კლუბის ხელმძღვანელობა და ფეხბურთელები, საქმეს სერიოზულად უდგებიან. ნაყოფიერი მოსამზადებელი პერიოდი გავიარეთ და ფეხბურთელებმა გაითავისეს, რომ ბრძოლის გარეშე ვერაფერს მიაღწევენ. რომ არა პირველ წრეში დაკარგული ქულები, ამ სეზონში მაღალი ადგილებისთვის ვიბრძოლებდით.

— სატურნირო ცხრილის პირველ შვიდეულზე ვთქვათ — მიგაჩნიათ, რომ ყველა ეს გუნდი თითქმის თანაბარი ძალისაა?

— ვფიქრობ, ასეა. ამ შვიდეულიდან ერთი თავით მაღლა არც ერთი გუნდი არ დგას. ისიცაა, რომ ამ შვიდეულის ქვემოთ მყოფი ზოგი გუნდი ისე გაძლიერდა, მაგალითად, „ტორპედო" და „თბილისი", რომ ყველასთან შეუძლიათ თანაბრად ბრძოლა.

— თბილისის „დინამოზე" რას იტყოდით?

— გული მწყდება, რომ „დინამო" ასეთ მდგომარეობაშია, „დინამო" ხომ მხოლოდ ყოფილი დინამოელების სატკივარი არაა. ჩავარდნა ყველა გუნდს ემართება, მაგრამ „დინამოს" ეს ძალიან გაუგრძელდა...

— როგორ ფიქრობთ, ჩემპიონობის უკეთესი შანსი რომელ გუნდს აქვს?

— დარწმუნებული ვარ, ჩემპიონი „სიონი" გახდება. კარგია „ვიტ ჯორჯიაც", მაგრამ „სიონის" დაწევა ძნელი იქნება.

— „ბათუმის" სავარჯიშო პირობებით კმაყოფილი ხართ?

— ბათუმში, ადლიას სპორტულ კომპლექსში ვვარჯიშობთ. ჩვენს განკარგულებაშია მინდორი და ხელოვნურსაფარიანი მოედანი — მოკლედ, ნორმალური სავარჯიშო პირობები გვაქვს.

— „ბათუმში" „ლოკომოტივიდან" გადმოსულ გიორგი სეთურიძეზე რას იტყოდით? ის ჩვენი ნაკრების გერმანულმა შტაბმა ალბანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან ათამაშა და მისით კმაყოფილი დარჩა — მან ჯერ ლიბეროდ ითამაშა, მერე მარჯვენა მცველად...

— სეთურიძეს შეუძლია, კარგი ფეხბურთი ითამაშოს, მაგრამ საკუთარ თავზე ბევრი მუშაობა მართებს. მიმაჩნია, რომ მან მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე უნდა ითამაშოს.

— ვლადიკავკაზის „ალანიიდან" ახლახან ლევან გვაზავა დაგემატათ — როგორ ფორმაშია იგი?

— მიუხედავად უთამაშებლობისა, გვაზავა ნორმალურ ფორმაშია, თუმცა არა ოპტიმალურში.

— „ბათუმის" ბრაზილიელ შემტევ ტიაგოზე რას იტყვით? ის ისეთი ლეგიონერია, რომელიც აქაურებს მკვეთრად ჯობია?

— ბოლო მატჩებში მან თამაშს მოუმატა. ტიაგო ერთი თავით არ ჯობია ჩვენს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს, თუმც არავის ჩამოუვარდება და ბევრზე უკეთესიცაა.

— ამ მომენტისთვის საუკეთესო ქართველ მეკარედ ვის მიიჩნევთ?

— ამ დროისთვის კარგ ფორმაშია გია ჭანტურია...

**დავით თავართქილაძე**

### სიმბოლური ნაკრები

გრიგოლ იმედაძე – ზესტაფონი
გონსალო დე პორასი – ბორჯომი
ლევან გვაზავა – ბათუმი
რევაზ გეწაძე – ბორჯომი
ლევან ხმალაძე – სიონი
დავით დიღმელაშვილი – ვიტ ჯორჯია
ლაშა ძებაძე – ბათუმი
გიორგი ონიანი – ბათუმი
ალექსანდრე ბურნაძე – ბორჯომი
ლაშა ჯაფარიძე – ვიტ ჯორჯია
გრიგოლ ჭანტურია – ზესტაფონი

გუნდი: ბორჯომი

მწვრთნელი: ოთარ გაბელია

# ჩერნიშოვი: რაფრად იქნება დინამოს საქმე?

# ევრორემონტი თუ ევროაუტი?



**ესეც** „დინამო“: ეს კლუბი ქართულ ფეხბურთში ყოველთვის საინტერესო თემაა და განსაკუთრებით მაშინ გვეცემა თვალში, როცა აგებს — ასეა, რადგან ქვეყნის მასშტაბით დინამოელებისგან მოგებებს ვართ შეჩვეულნი.

წლეულს კი „დინამოს“ არნახულად ცუდი პერიოდი უდგას. კახა ცხადაძის ნაცვლად ანდრეი ჩერნიშოვის გამწვრთნელებამ, ივო შუშაკის დროინდელი გვარდიის დაბრუნებამ და ორი ბრაზილიელის ჩამოსვლამ ვერაფერი უშველა გუნდს. პირიქით, ყველაფერი უკან-უკან მიდის...

მოკლედ, 1993 წლის შემდეგ „დინამო“ ეგებ პირველად დარჩეს ევროტურნირების მიღმა. მას შემდეგ ქართული საკლუბო ფლაგმანი ზედიზედ 13-ჯერ გასულა ევროპაში...

აქამდე „დინამო“ ან ჩემპიონთა ლიგის, ანაც უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე გადიოდა და ერთადერთხელ, 1999-2000 წლების სეზონში ერგო მესამეადგილოსანს ოდენ ინტერტოტოს საგზური. იმ პერიოდში გუნდს ჯერ გია გეგუჩაძე წვრთნიდა ცოტა ხნით, შემდეგ ოთარ კორღალიძე, ხოლო ინტერტოტოზე ჯემალ ჩიმაკაძე იყო თავკაცი — „დინამომ“ რანგით უმდაბლეს ევროტურნირზე ლიეჟის „სტანდარდთან“ შინ 2:2, სტუმრად კი 1:1 ითამაშა და პირველივე ეტაპიდან გავარდა. იმდროინდელ „დინამოში“ ზაზა ზირაქიშვილი, რევაზ არველაძე, არჩილ სახვაძე, დავით დათვაძე და სხვები თამაშობდნენ.

„დინამო“ მომდევნო ორ სეზონშიც მესამეზე გავიდა, ოღონდ ეს ადგილი საუეფასთასოდ ეყო — 2000-2001 წლების სეზონში გივი ნოდიას თავკაცობით ბელარუსის „ბატე“-სთან გავარდა, მომდევნოში კი უკვე ივო შუშაკის ხელში ესტონური ტვმკ-ს ბარიერი გაიარა, ჩეხურ „ლიბერეცთან“ კი ველარაფერი გააწყო.

გასული 16 ეროვნული ჩემპიონატიდან, მოგეხსენებათ, „დინამო“ მხოლოდ ოთხჯერ ვერ გაჩემპიონდა. ბოლოს ეს 2003-2004 წლების სეზონში მოხდა, როდესაც ივო შუშაკი გია გეგუჩაძემ შეცვალა: მაშინ უეფას თასზე გავიდნენ დინამოელები და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე ლაჟღაჟა შედეგიც გამოაცხვეს — სამი საკვალიფიკაციო ეტაპი გადალახეს და ჯგუფურ ეტაპზე გაიჭრნენ.

ახლა კი „დინამოს“ ჩემპიონობაზე და თუნდაც მეორე ადგილზე გასვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია — ჩერნიშოვის გუნდი მეოთხეზეა, ლიდერ „სიონს“ 12 ქულით ჩამორჩება, „ვიტ ჯორჯიას“ კი — 10-ით. ამ გადასახედიდან მაქსიმუმი მესამე პოზიციაა, რაც ან უეფას თასის, ან ინტერტოტოს საგზურს იძლევა. მეოთხეზე გასვლა მხოლოდ ინტერტოტოსთვის იქნებ საკმარისი და ესეც საეჭვოა, რადგან თუ საქართველოს თასი არაპრიზიორმა გუნდმა აიღო, მეოთხე ადგილი „არაევროპული“ ხდება.

ეს ყველაზე ნათელ ფერებში, თორემ ცხრილს ჩახედეთ: მეოთხე პოზიცია აქვს კი გუნდს გამაგრებული? „ბორჯომი“, „ამერი“ და „ბათუმი“ კუდში მისდევენ...

მოკლედ, თუ „დინამომ“ ევროტურნირზე ვერ გააღწია, ტანმაღალი რუსი ანდრეი ჩერნიშოვი ქართული საკლუბო ფლაგმანის ყველაზე წარუმატებელ მწვრთნელად გამოცხადდება — მართლაც, „დინამო“ და, ევროპაზე ვერ გავიდეს?!

არადა, ყველაფერი აქეთ მიდის...

**ილია ნანობაშვილი**

# უნივერსალური კანონი

## მჭად და ყველივით მომენატრები...

საქართველოს ჩემპიონატის მაღალი დონით ნამდვილად ვერ დავიტრაბახებთ და ასეთ პირობებში ერთი-ორი კვალიფიციური ფეხბურთელის გამოჩენაც კი, ერთ კონკრეტულ გუნდს კი არა, მთლიანად პირველობას მატებს ლაზათს. წინა ტურის სტატისტიკას რომ გადავავლე თვალი, იმიგრანტთა ოდენობა აშკარად მებევრა, მაგრამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სატრანსფერო კომიტეტის ხელმძღვანელ რევაზ შენგელიას მიერ დასახელებულმა ციფრმა მაინც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მისი თქმით, შარშანდელი ივნისიდან ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ქართულ კლუბებში 36 ჩვენებური დაბრუნდა, იანვრიდან დღემდე კი — 34. ჯამში რამდენია? შვიდი ათეული ფეხბურთელი (ოღონდ, მათში ათამდე უცხოელიც ითვლება) ხუმრობა საქმე ნამდვილად არ არის. რა თქმა უნდა, იმავ პერიოდში მიგრაცია საპირისპირო მიმართულებითაც გრძელდებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ხარისხობრივადაც და ოდენობითაც ნამატი დანაკარგს აღემატება.

საქართველოს ჩემპიონატში ლეგიონერთა დაბრუნებას ამხელა მასშტაბი არასოდეს ჰქონია და თავისთავად საინტერესოა, რამ მისცა ბიძგი ამ პროცესს. მიზეზი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურია, მაგრამ მაინც შეიძლება გარკვეულ ტენდენციებზე საუბარი:

...ბოლო წლებში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი რეგრესის გზით მიდის. შესაბამისად, აქედან წასულ ფეხბურთელებს სულ უფრო უჭირთ თუნდაც მოკრძალებულ უცხოურ გუნდებში ფეხის მოკიდება.

...დასავლეთ ევროპას მხარი აღმოსავლეთმაც აუბა და ლეგიონერებზე ლიმიტი თითქმის ყველა ქვეყანაში ამოქმედდა. ქართველები აღმოსავლეთის ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებთან შედარებით, წამგებიან სიტუაციაში აღმოჩნდნენ.

...სარეზერვო გუნდში თამაშით ან სათადარიგოთა სკამზე ჯდომით საფრთხე დაემუქრა ბევრი ჩვენებურის სანაკრებო კარიერას და დაბრუნების გადაწყვეტილების მიღებისას გარკვეული როლი ამანაც ითამაშა.

ლადო ბურდული, ვიტალი დარასელია, ლევან გვაზავა, გიორგი შაშიაშვილი, მამუკა ლომიძე, გოჩა ხოჯავა, გიორგი ნიკურაძე, დავით გამეზარდაშვილი, ლევან კორღალიძე, გიორგი ყიფიანი, ლადო ახალაია, ედიკ საჯაია, გოჩა ქოქოშვილი... რა საერთო აქვთ ამ ფეხბურთელებს? ყველა მათგანი მე-17 ეროვნული ჩემპიონატის დაწყებისას ან ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას დაბრუნდა სამშობლოში. ზოგმა რამდენიმე თვე დაჰყო უცხოეთში, ზოგმაც წლები, მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი...



...კლუბების გაკოტრება მხოლოდ საქართველოს რეალობისთვის როდია ჩვეულებრივი მოვლენა. გაურკვეველი მაქსიმუმის მოლოდინს კი ყოველთვის გარკვეული მინიმუმი სჯობს.

...ფეხბურთის ფედერაციამ ორიათასლარიანი სატრანსფერო გადასახადი გააუქმა და მისი ხელმძღვანელობა იმიგრაციის ზრდას ამასაც უკავშირებს. ზემოთ რომ ფეხბურთელები ვახსენეთ, იმათ ტრანსფერებს 2000-ლარიანი გადასახადი ნაკლებად დააბრკოლებდა, მაგრამ შვიდ ათეულ ფეხბურთელში ორი ათეული მაინც იქნება ისეთი, ამან გადაწყვეტილების მიღება რომ გაუადვილა.

...კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება ის არის, რომ ქართულ კლუბებს სეზონის მსვლელობისას ნებისმიერ მომენტში შეუძლიათ უცხოეთიდან ფეხბურთელის დამატება. ჩვენებურები ხშირ შემთხვევაში უცხოეთში სატრანსფერო ფანჯრის დახურვას ელიან და იმ შემთხვევაში, თუ სასურველი კლუბის ვარიანტი არ გამოუჩნდებათ, გეზს საქართველოსკენ იღებენ.

რევაზ შენგელიამ ისიც გვითხრა, რომ 70 მხოლოდ მიახლოებითი ციფრია, რადგან ფაქტობრივად განხორციელებული ტრანსფერების ნაწილი ჯერ დარეგისტრირებული არ არის. ანუ გაგრძელება იქნება?

P.S. რა თქმა უნდა, ერთია გულშემატკივრის პოზიცია, რომელსაც მაღალი დონის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ქართული კლუბების ხილვა სურს, მეორე კი თავად ფეხბურთელთა განწყობა, რომლებიც უკეთესი ვარიანტის არქონამ გამოაბრუნა საქართველოში.

ზემოთ მიზეზები ჩამოვთვალეთ და ისიც ვთქვით, უნივერსალური მიზეზი არ არსებობსო. სამაგიეროდ, არსებობს უნივერსალური კანონი და ის ფეხბურთშიც ისევე მოქმედებს, როგორც ნებისმიერ სხვა სამყაროში. მას ბუნებრივი გადარჩევის კანონი ჰქვია. დღევანდელი ქართული ფეხბურთის პროდუქტი ევროპულ ბაზარზე კონკურენტუუნაროა. რატომ? ეს კი ვიცით, მაგრამ როდემდე დავრჩებით ამ მდგომარეობაში ან როგორ უნდა დავაღწიოთ მას თავი, ცალკე საუბრის თემაა.

გაგრძელება იქნება...

**გიორგი ნოზაძე**

ნდობის ტელეფონი
(18 წლიდან)
(822) 42-55-44 ქალაქიდან და კაბელიდან
822 006 005 | მობილურიდან
822 006 099
„მაგთი“, „ჯეოსელი“ -1ლ
თბილისი - 0,65 ლ

# ქართველები უცხოეთში



გოგიტა გოგუას ზედმეტი აქტიურობა გაძევებად დაუჯდა

## კლაუს ტოპმიოლერი საქმეში და ოდესაში

***კახა კალაძის „მილანმა“ მოულოდნელად „ლეჩესთან“ წააგო და საჩემპიონო შანსიც, ფაქტობრივად, მოისპო.*** შავ-წითლები ლიდერ „იუვენტუსს“ უკვე ცხრა ქულით ჩამორჩებიან და მართალია, სერია A-ს დასრულებამდე მთელი რვა ტურია, სხვაობა მაინც სოლიდური ჩანს. „ლეჩესთან“ მატჩში კალაძემ სრულად ითამაშა და გოლის გატანაც შეეძლო, თუმცა ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა. ერთხელ კი მეკარე დიდას შეცდომა გამოასწორა და „მილანი“. გაშვებულ გოლს გადაარჩინა.

***უიღბლო დღე ჰქონდა ლევან კობიაშვილის „შალკესაც“.*** გელზენკირხენელებმა შინ კონკურენტ „ჰამბურგთან“ 0:2 წააგეს, რამაც მეორე ადგილის შანსი ძალიან შეუმცირა და ახლა შალკელებს ისღა დარჩენიათ, „ვერდერს“ ებრძოლონ საპრიზო მესამე საფეხურისთვის.

***მძიმე ტრავმის შემდეგ პირველი 90 წუთი გაატარა მოედანზე ფრაიბურგელმა ოთარ ხიზანეიშვილმა,*** თუმცა მისმა გუნდმა „კოტბუსთან“ 1:2 დათმო. სრულად ითამაშა *ალექსანდრე იაშვილმაც,* ვინც წინა ტური მიკროტრავმის გამო გამოტოვა.

***„ბაზელი“ — „იანგ ბოისი“. მატჩის დამთავრებამდე 24 წუთით ადრე მოედანზე მიხეილ ყაველაშვილი შევიდა...*** მაგრამ „ყაველას“ ნომერი ამჯერად აღარ გამოუვიდა: წინა ორ ტურში მეტოქეებისთვის ბოლო წუთების რისხვად მოვლენილმა ქართველმა ფორვარდმა „იანგ ბოისთან“ იგივე ვერ გაიმეორა, თუმცა გუნდის მოგებაში თავისი წვლილი მაინც დაიდო. სწორედ ყაველაშვილის გამოსვლის მერე მოუწყო „ბაზელმა“ შტურმი მეტოქეს და ბოლო ათ წუთში ორი გოლიც გაუტანა.

***რუსულ მოედნებზე ოთხი ქართველი გამოჩნდა და ამათგან სამმა მოიგო.*** ერთადერთი, *დავით მუჯირის „კრილიამ“* წააგო „მოსკვასთან“ (0:1), თუმცა ჟურნალისტებმა ქართველი ნახევარმცველი სტუმართაგან საუკეთესოდ მიიჩნიეს. *მიხეილ აშვეთიას და ლაშა სალუქვაძის „რუბინმა“* კი ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგიას“ სძლია და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე წამოსკუპდა.

სენსაციურად მოიგო *გოგიტა გოგუას „ნალჩიკმაც“*. პრემიერლიგის დებიუტანტებმა სტუმრად მოსკოვის „ლოკომოტივი“ 3:2 დაამარცხეს და პირველი გოლი გოგუას პასით გავიდა. მეორე ტაიმის დასაწყისში კი ჩვენებური მსაჯმა უხეშობისთვის გააძევა.

***„უკრაინელ“ ქართველებს სათამაშო პრაქტიკა არ აკლიათ და ამაში კლაუს ტოპმიოლერიც დარწმუნდებოდა.*** საქართველოს ნაკრების თავკაცი „ჩერნომორეც“ — „ვოლინის“ (2:0) მატჩს დაესწრო და *ილია კანდელაკსა* და *კახა მჭავანაძეს* შეავლო თვალი. ორივემ 90-90 წუთი ითამაშეს და საკმაოდ კარგადაც გაისარჯნენ.

***ლევან მაღრაძის „ქსანთი“ ქულასღა გამორჩა „პანათინაიკოსს“*** და მეექვსე ადგილამდე დაქვეითდა. შკოდელთა ქართველმა ლეგიონერმა სრულად ითამაშა.

**ბახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ლეჩე 0:1 | 90 | | 22 | 1 | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ჰამბურგი 0:2 | 90 | გააფრთხილეს | 27 | 2 | 4 |
| ლევან ცქიტიშვილი | ვოლფსბურგი | შ | დუისბურგი 1:1 | 0 | | 14 | 0 | 14 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | კოტბუსი 1:2 | 90 | | 21 | 4 | 6 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | ს | კოტბუსი 1:2 | 90 | | 4 | 0 | 6 |
| დავით სირაძე | აუე | შ | დრეზდენი 2:0 | 63 | შეცვალეს | 8 | 4 | 8 |
| **გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | ზტ. პაული | შ | ქემნიცი 3:2 | 45 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 20 | 2 | 4 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | ბაიროითი | ს | აალენი 0:3 | 30 | შეცვლაზე ითამაშა | 17 | 12 | 10 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ბაზელი | შ | იანგ ბოისი 2:0 | 24 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 2 | 1 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | შ | ბრედა — გადაიდო | | | 26 | 21 | 2 |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | ს | ფეიენოორდი 2:4 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 0 | 10 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | ნალჩიკი 2:3 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 14 |
| გიორგი ჭელიძე | ლოკომოტივი | შ | ნალჩიკი 2:3 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 14 |
| მათე ღვინიანიძე | ლოკომოტივი | შ | ნალჩიკი 2:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 14 |
| მიხეილ აშვეთია | რუბინი | შ | ლუჩ-ენერგია 1:0 | 81 | შეცვალეს | 3 | 0 | 3 |
| გიორგი ქინქლაძე | რუბინი | შ | ლუჩ-ენერგია 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 3 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | შ | ლუჩ-ენერგია 1:0 | 90 | | 2 | 0 | 3 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | შ | ლუჩ-ენერგია 1:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 3 |
| ზურაბ არზიანი | რუბინი | შ | ლუჩ-ენერგია 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| ბექა ჟღენტი | ტორპედო | შ | ამკარი 0:0 | 0 | | 0 | 0 | 13 |
| დავით მუჯირი | კრილია | ს | მოსკვა 0:1 | 90 | | 2 | 0 | 7 |
| გიორგი ლომაია | ლუჩ-ენერგია | ს | რუბინი 0:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 11 |
| გოგიტა გოგუა | ნალჩიკი | ს | ლოკომოტივი 3:2 | 47 | საგოლე პასი, გააძევეს | 2 | 0 | 6 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | შ | გაზპრომი 1:0 - | 0 | | 0 | 0 | 6 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | ს | მეტალისტი 2:1 | 0 | | 1 | 0 | 1 |
| კახა ალადაშვილი | დინამო | ს | მეტალისტი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | არსენალი 2:1 | 61 | შეცვალეს | 6 | 2 | 13 |
| დავით კვირკველია | მ. ზაპოროჟიე | ს | არსენალი 2:1 | 90 | | 4 | 0 | 13 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | შ | დინამო 1:2 | 45 | შეცვალეს | 19 | 6 | 6 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | შ | ვოლინი 2:0 | 90 | | 14 | 0 | 3 |
| კახა მჭავანაძე | ჩერნომორეცი | შ | ვოლინი 2:0 | 90 | | 4 | 0 | 3 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | ს | ილიჩევეცი 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 21 | 7 | 12 |
| ალეკო ამისულაშვილი | ტავრია | ს | ზაკარპატიე 1:0 | 90 | | 4 | 0 | 10 |
| ირაკლი ქორთუა | ტავრია | ს | ზაკარპატიე 1:0 | 0 | | 0 | 0 | 10 |
| ჯაბა კანკავა | არსენალი | შ | მ. ზაპოროჟიე 1:2 | 90 | | 4 | 0 | 15 |
| გიორგი ციმაკურიძე | სტალი | შ | შახტარი 1:3 | 90 | გააფრთხილეს | 21 | 1 | 14 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | შ | პანათინაიკოსი 1:1 | 90 | | 20 | 0 | 6 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აბრამოვიჩი შევჩენკოს ცოლის მხრიდან მიადგა





კრისტინ პაზიკი ირინა აბრამოვიჩმა ღრუბლებში ააფრინა

## ბრატან, მი ვსე იზ ბივშევა საიუზა

**რახან** საიდუმლო აღარ არის, რომ ანდრეი შევჩენკო „ჩელსის“ ძალიან უნდა და კვირაში 150 ათას გირვანქას სთავაზობს, ისიც არ უნდა იყოს საიდუმლო, რომ მისი „ჩელსიში“ მიყვანა პირადად რომან აბრამოვიჩის სურვილია და მისტერ ჩელსკი ამ საქმეზე იმ დღიდან ჩალიჩობს, რაც „ჩელსი“ მოიგდო ხელთ.

„ბრატან, მი ვსე იზ ბივშევა საიუზა...“ ასე ჟღერს გულისთქმა. ოლონდაც, აბრამოვიჩის ჩალიჩები სულ ამაო იქნებოდა, რომ არა ამერიკელის დახმარება. შევჩენკოს გადმოყვანის ეპოპეაში გადამწყვეტი ბოლო ხუთი თვე უნდა აღმოაჩნდეს „ჩელსის“ პატრონმა საქმეში თავისი მეუღლეც კი ჩართო და შევჩენკოს ამერიკელი მეუღლე კრისტინ პაზიკი თავისი ცოლის ნიჭიერებითა და მონდომებით მოინადირა. მოგეხსენებათ, ფეხბურთელები იოლი ხალხია, დაგთანხმდებიან ხოლმე, ფეხბურთელთა ცოლები კი არაფერსაც არ დაგთანხმდებიან.

ახლა უკვე გარკვეულია, რომ შევჩენკოს „ჩელსიში“ და არა „მანჩესტერში“ გადასვლა ცოლმა ურჩია, ქალს ლონდონი უფრო ნდომებია, იმ ჩვეულებრივ მანჩესტერში რა გაგვაჩერებსო.

ამიტომაც მოიწვიეს სტუმრად კრისტინი აბრამოვიჩიანთ 28-მილიონიან სასახლეში, ლონდონის განთქმულ უბან ბელგრავიში, სადაც ყოველნაირი პატივისცემითა და მასპინძლობით დაატკბეს. ქალმაც ამის შემდეგ თქვა, მგონი, ცხოვრების ადგილისა და სტილის შეცვლა ურიგო არ უნდა იყოსო. ჯერ მარტო რა შოპინგები გამართა შევას ცოლმა: ბონდ სტრიტიო, ბრომპტონ კროსიო. რა დასამალია და, მოდის დედაქალაქ მილანის მაღაზიები მასშტაბურობით და მრავალფეროვნებით ლონდონის მაღაზიებთან აგებს. ქალი ვერტმფრენით გადაადგილდებოდა და მთელი ამბავი. კობემშიც კი იყო, „ჩელსის“ ბაზაზე, რომლის შორიახლოსაც მაგარი ვილებია და შევჩენკოებს დასახლება შეუძლიათ.

მოკლედ, შევა ლურჯ მაისურაში: უფრო წვრილად კი ეს ამბავი ირინა აბრამოვიჩს და კრისტინ პაზიკს ეცოდინებათ.

**ირაკლი გამყრელიძე**

*ლონდონიდან*

## ინგლისს ენაზე ექაჩებიან



**გუს ჰიდინკის** აგენტი, კეს ვან ნიუვენჰუიზენი, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას აჩქარებს, ჩემ კლიენტთან თანამშრომლობა თუ გინდათ, გადაწყვეტილება ცოტა მალე მიიღეთო. მოგეხსენებათ, ჰოლანდიელი უკვე საკმაო ხანია, სვენ გორან ერიკსონის შემცვლელად განიხილება. თუმცა შვედის ადგილზე სხვა არაერთი კანდიდატიც არის.

„ჰიდინკის კვალიფიკაციაზე და მის შესაძლებლობებზე საუბარი ზედმეტია. მას ჩემპიონთა ლიგა აქვს მოგებული და ორი ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გაიყვანა. ასე რომ, ინგლისის ასოციაციამ დროულად უნდა თქვას, აპირებს თუ არა მასთან თანამშრომლობას, რათა წინადადება მალევე განვიხილოთ. ასოციაციის წარმომადგენლებს სამი კვირის წინ ვესაუბრე და მას მერე მათგან არაფერი გვსმენია. ჩვენ კი სხვა შემოთავაზებებიც გვაქვს“ — განაცხადა ნიუვენჰუიზენმა.

ერთი რამ დანამდვილებითაა ცნობილი — ჰიდინკი სეზონის ბოლოს პსვ-ს დატოვებს, ხოლო მუნდიალის დასრულების შემდეგ აღარც ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელი იქნება. ყოველ შემთხვევაში, მან ცოტა ხნის წინ ამგვარი განცხადება გააკეთა.

**კოკი ქანდელაკი**





## გაცოფებული მაცონე ტელეფონში გაქვრა

**იტალიური RAI**-ის ცნობილი გადაცემა „დომენიკა სპორტივა“ 2 აპრილს ძალიან საინტერესო გამოვიდა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ აპენინებზე ერთ-ერთმა გამორჩეულმა საფეხბურთო მიმომხილველმა ჯორჯო ტოსატიმ „ლივორნოს“ ხელმძღვანელობა გააკრიტიკა, რობერტო დონადონის კარლო მაცონეთი შეცვლა დიდი შეცდომა იყოო. იგი უკვე დაბერდა, გასულ სეზონში „ბოლონიას“ ადგილი ვერ შეუნარჩუნა სერია A-ში და ახლა „ლივორნოს“ კრიზისიც მაცონეს ბრალიაო. ამ დროს პირდაპირ ეთერში მაცონე ტელეფონით ჩაერთო და ცხარე კამათიც გაჩაღდა, რაც ერთმანეთის შეურაცხყოფაში გადაიზარდა.

კარლო მაცონე: „მინდა, საუბარში ჩავერთო, რადგანაც ტოსატის არ აქვს ჩემი კრიტიკის საფუძველი და არც მორალური უფლება“.

„კრიტიკას ღირსეულად უნდა შეხვდეთ, ეს არასერიოზულია. მით უმეტეს, მწვრთნელისგან, რომელიც 39 წელიწადია, ფეხბურთშია. დროა, გაჩერდეთ. ჩემი არგუმენტები ფაქტებზეა აგებული და ასე საუბარი არ გეკადრებათ“ — შეეპასუხა ტოსატი.

„მე ვამაყობ ჩემი კარიერით და მიღწევებით. აი, თქვენ კი მხოლოდ მამათქვენის გამო ხართ დღეს იქ, სადაც ხართ. მეტი პატივისცემა გმართებთ“ — გააგრძელა მაცონემ.

ტოსატის პასუხი ასეთი იყო: „თქვენი ხნის რომ ვიყო, შემრცხვებოდა და ასეთ რაღაცეებს არ ვიტყოდი“.

ამის შემდეგ გადაცემის წამყვანმა პაოლა ფერარიმ მხარეებს კამათი შეაწყვეტინა და მაცონესთან სატელეფონო კავშირიც გაწყვიტა.

აქვე შეგახსენებთ, რომ რობერტო დონადონიმ „ლივორნო“ გასულ სეზონში მშვენივრად ათამაშა, ხოლო მიმდინარეშიც კარგად გამოიყურებოდა. თუმცა ხელმძღვანელობისგან მოსმენილი კრიტიკის შემდეგ კლუბთან განშორება არჩია და დონადონის ადგილი მაცონემ დაიკავა. ამით ტოსკანელთა მდგომარეობა გაუარესდა. ახლა ისინი მეცხრე ადგილზე არიან და გუნდს ბოლო 9 მატჩში ოდენ 6 ქულა აქვს აღებული. ხოლო ტოსატის მამა, წარსულში „გაძეტა დელ პოპულოს“ ცნობილი ჟურნალისტი გახლდათ, რომელიც 40-იანი წლების ლეგენდარულ „ტორინოსთან“ ერთად ავიაკატასტროფაში ტრაგიკულად დაიღუპა.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

## მილანი (იტალია) – ლიონი (საფრანგეთი) (0:0)

მილანი. „სან სირო“. მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

| | |
|---|---|
| დიდა — სტამი, ნესტა, კალაძე, სერჟინიო — გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა — შევჩენკო, ინძაგი | კუპე— კლერკი, კრისი, კასაპა, აბიდალი — პედრეტი, ჟუნინიო, დიარა — მალუდა, ვილტორდი, ფრედი |

| დისკვალიფიცირებულნი | |
|---|---|
| არავინ | ტიაგუ (1 მატჩი) |

# მილანმა ასს მიუკაკუნა

„მილანი“ „ლიონის“ დასამარცხებლად ემზადება. როგორც ჩანს, „როსონერიმ“ საბოლოოდ ჩაიქნია ხელი სკუდეტოზე და ჩემპიონთა ლიგაზე გადაერთო. სერია A-ს გასულ ტურში კარლო ანჩელოტის გუნდმა ნახევრად სათადარიგო შემადგენლობით ითამაშა „ლეჩესთან“ და 0:1 დამარცხდა. ამის მერე, ჩემპიონატის დასრულებამდე 6 ტურით ადრე, „იუვენტუსთან“ სხვაობა 9 ქულამდე გაიზარდა და მილანელებს ალბათ თავადაც აღარ სჯერათ, რომ ტურინელების დაწევას შეძლებენ.

„ახლა უიღბლობის პერიოდი გვიდგას, ბევრ მომენტს ვერ ვიყენებთ. თუმცა ვიმედოვნებ, „ლიონთან“ მატჩში ეს გამოსწორდება. ბუნებრივია, ფრანგებს იმ შემადგენლობით არ შევებრძოლებით, რომელიც „ლეჩესთან“ გავიყვანე“ — აღნიშნა კარლო ანჩელოტიმ.

წინასწარი ინფორმაციით, ანჩელოტი შეტევაში შევჩენკო-ინძაგის წყვილს დააყენებს, ხოლო ფორვარდების უკან ტრადიციულად ბრაზილიელი კაკა იქნება. მილენელთა პრობლემა ისევ დაცვაშია. ახლახან მომჯობინებულმა კაფუმ და პაოლო მალდინიმ „ლეჩესთან“ მცირე ტრავმები მიიღეს და მათი თამაში სათუოა. სამაგიეროდ, მინდორს უბრუნდება იაპ სტამი, რომელიც მარჯვენა ფლანგზე იქნება.

„მილანის“ დაცვას კი დიდი სიფრთხილე მართებს. დისკვალიფიკაცია მოხდილი ჟუნინიო ამჯერად ითამაშებს და იტალიელების საჯარიმოსთან ნებისმიერი წესის დარღვევა უაღრესად სახიფათო იქნება. ბრწყინვალედ ბრაზილიელი ხომ ჯარიმებს პენალტივით ასრულებს.

ჟერარ ულიემ გასულ უქმეებზე „ტრუასთან“ მატჩში სილვიენ ვილტორდი, ერიკ აბიდალი, კრისი და კლერკი დაასვენა. ის მატჩი „ლიონმა“ ტიაგუს გოლით მოიგო. პორტუგალიელი ნახევარმცველი, რომელიც გუნდის ერთ-ერთი ლიდერია, დღეს ვერ ითამაშებს, რადგანაც ლიონურ მატჩში კაკას მაისურაზე უაზროდ დაქაჩა და ახლა დისკვალიფიცირებულია.

ტიაგუს გარდა, „ლიონს“ დანაკლისი ფაქტობრივად არ აქვს. ულიე ნორვეგიელი იონ კარეუს ნაცვლად ბრაზილიელი ფრედის დაყენებას აპირებს.

„საკუთარი ძალების უნდა ვირწმუნოთ. მით უმეტეს, რომ მიმდინარე ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად გამართულ ყველა მატჩში გავიტანეთ“ — აღნიშნა ულიემ.

„ლიონის“ პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლა: „ჩემი ფეხბურთელები ამბობენ, რომ ისინი ახლა უფრო თვითდაჯერებულნი და დამშვიდებულები არიან, ვიდრე პირველი მატჩის წინ. ეს ბუნებრივიცაა, ნახევარფინალში გასვლის კარგი შანსი გვაქვს და იმედიანად ვართ“.

დაბოლოს, სტატისტიკაზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. ეს კლუბები ევროთასებზე ერთმანეთს მეორე ხვდებიან. „მილანმა“ ჩემპიონთა ლიგის ბოლო 12 საშინაო მატჩიდან 11 მოიგო და ერთხელ ფრე ითამაშა. ამ მატჩებში „როსონერიმ“ 31 გაიტანა და 7 გაუშვა. იტალიელები ჩემპიონთა ლიგაში თავიანთ მესე შეხვედრას ატარებენ და ფრანგულ კლუბებთან „სან სიროზე“ არასოდეს წაუგიათ (ათი თამაშიდან 8 მოიგეს).



ჟუნინიო „სან სიროზე“ ჯარიმებს შეასრულებს

### მილანის ბოლო ათი საშინაო მატჩი

| | | |
|---|---|---|
| მილანი — ფიორენტინა | 3:1 | სA |
| მილანი — ბაიერნი | 4:1 | ჩლ |
| მილანი — ემპოლი | 3:0 | სA |
| მილანი — კალიარი | 1:0 | სA |
| მილანი — ტრევიზო | 5:0 | სA |
| მილანი — სამპდორია | 1:1 | სA |
| მილანი — პალერმო | 1:0 | ით |
| მილანი — ასკოლი | 1:0 | სA |
| მილანი — პარმა | 4:3 | სA |
| მილანი — მესინა | 4:0 | სA |

სA — სერია A,
ჩლ — ჩემპიონთა ლიგა,
ით — იტალიის თასი

### ლიონის ბოლო ათი მატჩი სტუმრად

| | | |
|---|---|---|
| ტრუა — ლიონი | 0:1 | სჩ |
| სოშო — ლიონი | 0:4 | სჩ |
| აიაჩო — ლიონი | 1:3 | სჩ |
| პსვ — ლიონი | 0:1 | ჩლ |
| ლანსი — ლიონი | 1:1 | სჩ |
| აიაჩო — ლიონი | 0:0 | სთ |
| ნანსი — ლიონი | 0:2 | სჩ |
| გრენობლი — ლიონი | 0:4 | სთ |
| სტრასბური — ლიონი | 0:4 | სჩ |
| სტ. ეტიენი — ლიონი | 0:0 | სჩ |

სჩ — საფრანგეთის ჩემპიონატი,
ჩლ — ჩემპიონთა ლიგა,
სთ — საფრანგეთის თასი

არანაკლებ შთამბეჭდავია „ლიონის“ სტატისტიკაც. ჟერარ ულიეს შეგირდებმა იტალიაში ბოლო 4 ვიზიტიდან სამჯერ მოიგეს, მათ შორის ორჯერ მილანის ინტერთან“. ხოლო ჩემპიონთა ლიგის ბოლო 6 გასვლით შეხვედრაში ფრანგები დაუმარცხებელნი არიან (ექვსიდან 4 მოიგეს).

**გიორგი ძაძამაძე**

## ვილიარეალი (ესპანეთი) – ინტერი (იტალია) (1:2)

ვილიარეალი. „ელ მადრიგალი“. მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

| | |
|---|---|
| ვიერა — ხავი ვენტა, გონსალო როდრიგესი, კიკე ალვარესი, არუაბარენა — ხოსიკო (ან ტაკინარდი), სენა, სორინი, რიკელმე — ხოსე მარი, ფორლანი | ტოლდო — ხავიერ ძანეტი, კორდობა, სამუელი, ვომე — ფიგუ (ან სოლარი), ვერონი, კამბიასო, სტანკოვიჩი, — ადრიანო, რეკობა (ან მარტინსი) |

| დისკვალიფიცირებულნი | |
|---|---|
| არავინ | არავინ |

# მადრიგალი: ხაფანგი იტალიელებისთვის



**რობერტო მანჩინის** „ინტერს“ კასტელონურ „ელ მადრიგალზე“ ერთ უსიამოვნო ტრადიციასთან შებრძოლება მოუწევს — აქამდე „ვილიარეალს“ შინაურ სტადიონზე იტალიური კლუბები სამჯერ შეხვედრიან და სამჯერვე დამარცხებული გაბრუნებულან. პირველად „ვილიას“ 2002-ის 27 ივლისს ინტერტოტოზე „ტორინო“ შეებრძოლა და ესპანელებთან 2:0 წააგო. შემდეგ 2003-ის 19 ივლისს, ასევე ინტერტოტოს თასზე მასპინძლებმა „ბრეშა“ იმსხვერპლეს იმავე ანგარიშით. ხოლო 2003 წლის 11 მარტს „ელ მადრიგალზე“ ფაბიო კაპელოს „რომა“ ჩავიდა უეფას მერვედფინალური მატჩის გასამართად და... რა თქმა უნდა, იმ ავბედითი ანგარიშით, 2:0 დამარცხდა...

„ინტერნაციონალესთვის“ „ყვითლებთან“ სალიგო ჯახის წინ სასიხარულო ამბავი ლუიშ ფიგუს გამოჯანმრთელებაა. პორტუგალიელმა ტრავმის გამო ბოლო სამი მატჩი გამოტოვა, თუმც ახლა მუხლი მოურჩა და პელეგრინის გუნდთან თამაშს მოახერხებს. „ელ მადრიგალზე“ ვერ იბურთავებს სტუმართა ტრავმირებული მცველი ჯუზეპე ფავალი. რობერტო მანჩინი უკანა ხაზს სავარაუდოდ შემდეგნაირად დააწყობს — მარცხენა ფლანგზე ვომე იქნება, ცენტრში არგენტინელი ვალტერ სამუელი და ივან კორდობა, მარჯვენა ფლანგზე კი ასევე არგენტინელი ხავიერ ძანეტი. ნახევარდაცვაში, როგორც უკვე იცით, ფიგუ ბრუნდება, ხოლო თავდასხმას „ვილიასთან“ წინა მატჩის გმირს, ბრაზილიელ ადრიანოს და სავარაუდოდ ურუგვაელ ალვარო რეკობას ჩააბარებენ. იტალიის ჩემპიონატში „ინტერი“ დღეს მესამე ადგილზეა და ბოლო თამაში „მესინასთან“ 3:0 აქვს მოგებული.

„ვილიარეალს“ მეოთხედფინალის მეორე მატჩისთვის ტრავმამორჩენილები, ხუან რომან რიკელმე, მარკოს სენა და ხავი ვენტა დაუბრუნდებიან. მათ პრიმერადივიზიონში „სარაგოსასთან“ არ უთამაშიათ თუმც, მედიის ცნობით, „ინტერთან“ აუცილებლად იქნებიან. ხუან პაბლო სორინიც შესანიშნავ ფორმაშია. ნახევარმცველმა ხოსიკომ კი სანქციის მოხდის შემდეგ იტალიელებთან თამაშის უფლება მიიღო. „ვილიარეალი“ ესპანურ პრიმერადივიზიონში მერვე ადგილზეა და ბოლო მატჩში „ყვითლებმა“ „სარაგოსას“ სტუმრად 1:0 მოუგეს.

დასასრულს, ესპანელთა საომარი განწყობის დამადასტურებელ ფაქტებზეც ვთქვათ — „სან სიროზე“ მხოლოდ 2:1 წავაგეთ, ეს კი „ელ მადრიგალზე“ მიზნის მიღწევას გაგვიადვილებს. გულშემატკივართა დახმარებით გამარჯვების მოპოვება და ნახევარფინალში გასვლა უნდა შევძლოთ“ — თქვა მედიასთან მანუელ პელეგრინიმ, „ვილიას“ მწვრთნელმა.

„პირველ მატჩში „ინტერთან“ ტოლ-სწორად ვიყავით. „მადრიგალზე“ აუცილებლად მოვიგებთ და ლიგის შემდეგ ეტაპზეც „ვილიარეალი“ გავა“ — განუცხადა ჟურნალისტებს ხოსიკომ.

**ლადო ხომერიკი**

### ვილიარეალის ბოლო ათი საშინაო მატჩი

| | | |
|---|---|---|
| ვილიარეალი — ბეტისი | 1:2 | პდ |
| ვილიარეალი — ატლეტიკო | 1:1 | პდ |
| ვილიარეალი — რეინჯერსი | 1:1 | ჩლ |
| ვილიარეალი — ალავესი | 3:2 | პდ |
| ვილიარეალი — ესპანიოლი | 4:0 | პდ |
| ვილიარეალი — კადისი | 1:1 | პდ |
| ვილიარეალი — ოსასუნა | 2:1 | პდ |
| ვილიარეალი — რეალი | 0:0 | პდ |
| ვილიარეალი — ვალენსია | 0:2 | ეთ |
| ვილიარეალი — ხეტაფე | 2:1 | პდ |

პდ — პრიმერადივიზიონი,
ჩლ — ჩემპიონთა ლიგა,
ეთ — ესპანეთის თასი

### ინტერის ბოლო ათი მატჩი სტუმრად

| | | |
|---|---|---|
| პარმა — ინტერი | 1:0 | სA |
| რომა — ინტერი | 1:1 | სA |
| აიაქსი — ინტერი | 2:2 | ჩლ |
| ლივორნო — ინტერი | 0:0 | სA |
| ფიორენტინა — ინტერი | 2:1 | სA |
| ლეჩე — ინტერი | 0:1 | სA |
| ლაციო — ინტერი | 1:1 | ით |
| ტრევიზო — ინტერი | 0:1 | სA |
| სიენა — ინტერი | 0:0 | სA |
| რეჯინა — ინტერი | 0:4 | სA |

სA — სერია A,
ჩლ — ჩემპიონთა ლიგა,
ით — იტალიის თასი

# ტოტალური ამბავი

## ტონი კასკარინო პრემიერლიგის პრემიერმაჩებზე



**მეოცე საუკუნის ბოლოსა და ოცდამეერთის დასაწყისში ფეხბურთმა სერიოზული თანამგზავრი შეიძინა — ტოტალიზატორი. ცხადია, სპორტის ისტორიაში ნიძლავები ყოველთვის იყო, მაგრამ ის, რაც ბოლო წლებში ხდება, ზღვარგადასულია და ამის მაგალითს ინგლისურ NEWS OF THE WORLD-ზე დაყრდნობით მოგიყვანთ**

წინათქმაში ხსენებულ გაზეთს, რომელიც THE SUN-ის საკვირაო დამატებაა, ცნობილ ირლანდიელ ვეტერანთან, ტონი კასკარინოსთან უსაუბრია, უფრო სწორად კი, მისთვის ერთგვარი აღიარება თუ მნიშვნელოვანი ინფორმაცია აურთმევია, მაგრამ სანამ რამეს გიამბობდეთ, შეგახსენებთ კასკარინოს ვინაობას და მისი ბიოგრაფიიდან ახალ დეტალებსაც გაგაცნობთ: კასკარინო გახლდათ ირლანდიის ნაკრების თავდამსხმელი, მონაწილეობდა მსოფლიოს ჩემპიონატში, საკლუბო დონეზე კი გამოდიოდა „ჯილინგემში“, „მილუოლში“, „ასტონ ვილაში“, „სელტიკში“, „მარსელსა“ და „ნანსიში“. დღეს ტონი კასკარინო გახლავთ ნახევრადპროფესიონალი ბუქმეიკერი და პოკერისტი, რომელმაც ბურთის გორებას თავი 2000 წელს დაანება და მას მერე ფულის მოგებას ცდილობს. მისივე თქმით, პირველ წელიწადს დაკარგა 70 ათასი გირვანქა, ბოლო ორ წელიწადში კი 100 ათასი მოიგო.

ხვალ, ოთხშაბათს, ინგლისურ CHANNEL FIVE-ზე იწყება ახალი პროგრამა TV პოკერ შოუ, რომელშიც კასკარინო და ფეხბურთის სხვა ყოფილი ვარსკვლავები, დავიდ ჟინოლა, მარკ ბოსნიჩი და ალან ბოლი მიიღებენ მონაწილეობას.

ახლა კი ჩავხედოთ საკვირაო გაზეთს და ვნახოთ, რა ამცნო ასეთი საზოგადოებას ტონი კასკარინომ. საქმე ტოტალიზატორებს, უფრო ზუსტად კი, ფეხბურთელების დადებულ ფსონებს ეხება. ყოველგვარი ეჭვი რომ გავფანტოთ, აქვე ვთქვათ, რომ ინგლისში ფეხბურთელები საკუთარი გუნდის თამაშებზე ფსონებს არ ჩადიან იმიტომ, რომ ეშინიათ. ინგლისი ინგლისია და, საკუთარი გუნდის თამაშზე ფსონის ჩასვლა რომ გაუგონ ვინმეს, მილიონერის კარიერას იქვე დაუმთავრებენ. მოკლედ, ასეთი რისკი პრემიერლიგისა თუ სხვა ინგლისური ლიგების ფეხბურთელებს, უბრალოდ, ხელს არ აძლევთ და ამას კასკარინოც ადასტურებს:

„საკუთარი გუნდის თამაშზე ფსონს არავინ დებს, რადგან ეს თვითმკვლელობის ტოლფასია. ასე შეიძლება, მთელი კარიერა დააყენო რისკის ქვეშ“.

მაგრამ არსებობს სხვა გზა, რომელსაც ინგლისში ფეხბურთელები მისდევენ. სიტყვას აღარ გავაგრძელებთ და მოკლედ გეტყვით, თუ რა ხდება შაბათ შუადღისას მთელ ინგლისში. ისევ კასკარინოს მოვუსმინოთ:

„ფეხბურთელები სასადილოში სხედან, სადაც მწვრთნელი შემადგენლობას აცხადებს. როგორც კი მწვრთნელი გადის, ისინი ტელეფონებს იღებენ, სხვა გუნდებში მოთამაშე მეგობრებს ურეკავენ და თავიანთ შემადგენლობას ეუბნებიან. ეს ინფორმაცია ნებისმიერი ფეხბურთელისთვის დიდი უპირატესობაა. ისინი მეგობრებისგან ცნობების მიღებისთანავე ინტერნეტით ან ტელეფონით ფსონებს ჩადიან და ხშირად იგებენ“.

ცნობისთვის: ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის წესებით, რაც ზემოთ აღვწერეთ, აკრძალულია. მოთამაშეს არ აქვს უფლება, ჩავიდეს ფსონს იმ შეჯიბრებაზე, რომელზეც პირდაპირ ან ირიბად გავლენა აქვს. და კიდევ, ფეხბურთელს არ აქვს უფლება, გამოიყენოს ინფორმაცია, რომელიც საჯარო არ არის.

კასკარინო: „როდესაც გავიგე, რომ ერთმა ცნობილმა ფეხბურთელმა 11 მარტის „ბოლტონ“ — „ვესტ ჰემზე“ 220 ათასი გირვანქა მოიგო, პირი დავაღე. ჩემი ფეხბურთელობის დროს ეს თანხა წლიური ხელფასი ან ტრანსფერის ფული იყო“.

ამ ინფორმაციას გამოეხმაურა ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია, რომლის პრესმდივანმა ადრიან ბევინგტონმა განაცხადა, რომ თუ ბატონი კასკარინო თავის ნათქვამს დაამტკიცებს, ასოციაცია მზადაა, მკაცრი ზომები გაატაროს.

და ბოლოს, ცნობილია, რომ „ჩელსის“ უმდიდრესმა ფეხბურთელებმა მარტში, ჩელტენჰემის ფესტივალზე საერთო ჯამში ნახევარი მილიონი გირვანქა დაკარგეს, ხოლო ეიდურ გუდიონსენმა მარტომ წააგო ამდენივე 2003 წელს კაზინოებში. რაც შეეხება მაიკლ ოუენს, მან თურმე დოღებსა და ფეხბურთზე 2,2 მილიონი დაატრიალა.

**პაპუნა ძიძია**

# კარლოსს შავი მაიმუნი მოელანდა

## რას მიირთმევს კანტალეხო?




„**რეალის**“ ბრაზილიელმა მცველმა რობერტო კარლოსმა ერთ-ერთ მადრიდულ რადიოსთან ინტერვიუში განაცხადა, „კამპ ნოუზე“ „ბარსელონასთან“ მატჩის დროს იქაური ფანები ტრიბუნებიდან „ბინძურ ზანგს“ მეძახდნენ, ამან ამანერვიულა და მსაჯთან კამათიც ამიტომ მომივიდაო. შეგახსენებთ, რომ „ელ კლასიკოში“ მედინა კანტალეხომ თავხოტორა ბრაზილიელს კამათისთვის ჯერ ყვითელი ბარათი უჩვენა, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ შეკამათების გამო „წითელიც აუნთო“ და თამაში დაატოვებინა. „სანამ პირველ გაფრთხილებას მივიღებდი, ტრიბუნებიდან რამდენჯერმე გავიგონე რასისტულ შეძახილები. ლაინსმენს ვუთხარი, რომ ინჩასთა ხულიგნობისთვის ყურადღება მიექცია. „ბინძური ზანგი“, „მაიმუნი“ და ამდაგვარი საძაგლობები მიწოდეს... ცხადია, ამან ამაღელვა და არბიტრს ავუხირდი“ — ამბობს რობერტო კარლოსი.

გაზეთებში კი სულ სხვას წერენ. „ელ მუნდო დეპორტივო“, „სპორტი“, „ასი“ და „მარკა“ მართალია, ფრონტის სხვადასხვა მხარეს არიან (პირველ ორს „ბარსა“ მოსწონს, დანარჩენებს „რეალი“), მაგრამ ერთ რამეში ყველა ერთმანეთს უყოყმანოდ ეთანხმება — არავითარი რასისტული გამოხტომები შაბათს „კამპ ნოუზე“ არ ყოფილა და „შავი მაიმუნი“ რატომღაც რობერტო კარლოსს გაუგონია მხოლოდ. ასე რომ, შავთმოძულეები რობერტოს ვერ გააბრაზებდნენ და მისგან მსაჯების შეურაცხყოფაც („ნეხვიჭამიები ხართო“ მთავარი მსაჯისთვის და ლაინსმენისთვის უთქვამს) რასიზმისგან გულისტკენით ვერ აიხსნება.

„რეალის“ მწვრთნელი ხუან რამონ ლოპეს კარო არბიტრებთან მეომარ ბრაზილიელს მკაცრად დასჯის. როგორც „რეალ B“-ს ფეხბურთელები ამბობენ (სანამ მადრიდულ გრანდს ჩაიბარებდა, ლოპეს კარო მეორე გუნდის მწვრთნელი იყო), ეს კაცი წესრიგის უკიდურესად მოყვარულია, და თავისი ყოფილი შეგირდებიც უმნიშვნელო დანაშაულისთვისაც ბევრჯერ მწარედ დაუსჯია. „კარლოსი ჩვენს გუნდში რომ ყოფილიყო, „კამპ ნოუზე“ ჩადენილი საქციელისთვის სასტიკად დაისჯებოდა. უაზრო წითელი ბარათებისთვის ლოპეს კარო 5-5 თამაშით სათადარიგოებში გვსვამდა და არა მგონია, მწვრთნელს ზნე „რეალში“ შეცვლოდეს“ — თქვა „მარკასთან“ საუბარში მეორე გუნდის მავანმა ფეხბურთელმა.

**ლადო ხომერიკი**



# ბოთლების დამლაგებელი

„**როცა** მაცივარს გამოვაღებ და ვხედავ, რომ საყინულეში სამი ბოთლი დევს, ერთი აუცილებლად სხვაგან უნდა გადავდგა, ბოთლები წყვილად რომ დარჩეს. საერთოდ, როდესაც ოთახში არეულ-დარეულ საგნებს და უწესრიგობას ვუყურებ, ცუდად ვხდები — საგნები ან წყვილ-წყვილად უნდა იყოს განლაგებული, ან სიდიდის მიხედვით“ — უთხრა ინგლისის ნაკრების კაპიტანმა დევიდ ბექემმა ბრიტანული „ინდეპენდენტის“ კორესპონდენტს.

დევიდ ბექემი თურმე სისუფთავის და წესრიგის ავადმყოფურად მოყვარული ყოფილა. ერთ-ერთ ბრიტანულ ტელეარხთან და შემდეგ ხსენებულ „ინდეპენდენტთან“ ინტერვიუებში ინგლისელმა განაცხადა, რომ დაულაგებელი ოთახის დანახვაზე შეიძლება ცუდად გახდეს. „რეალის“ ან ნაკრების გასვლით მატჩებზე სასტუმროში ცხოვრება ნამდვილი ტანჯვაა ჩემთვის. ის, რაც სხვისთვის იდეალურ წესრიგად ითვლება, ჩემთვის ქაოსია — სასტუმროს ნომერში შესვლის შემდეგ თავს მოსვენების უფლებას მარტო მაშინ ვაძლევ, როცა ყველა ნივთს შესაბამის ადგილზე დავაბინავებ. ოთახის დალაგებას დიდი დრო მიაქვს, თუმცა სხვანაირად მოქცევა არ შემიძლია, წინააღმდეგ შემთხვევაში დავიტანჯები და ძილი არ მომეკარება“ — ამბობს ბრიტანელი ვარსკვლავი.

ექიმთა განცხადებით, ბექემის სენს სისუფთავისადმი იმპულსურ-აკვიატებული დამოკიდებულება ჰქვია და ამ ავადმყოფობის გამო ინგლისში საკმაოდ ბევრი ადამიანი წვალობს. გარდა ამისა, ბექემმა „ინდეპენდენტთან“... მაზოხისმისადმი მიდრეკილებაც აღიარა. „სხეულის სხვადასხვანაირი ნახატებით აჭრელება სიგიჟემდე მიყვარს. ეს ცუდია, რადგანაც საკუთარი სხეულის დაჩხვლეტა მაზოხისტების მოწოდებაა“ — გაამხილა „რეალის“ ვარსკვლავმა.

ვიქტორია ბექემი, დევიდის მეუღლე, თურმე ქმრის სხვადასხვა აკვიატებებით სასოწარკვეთილია. „ვიქტორიას ვეცოდები და მსოფლიოში უიშვიათეს ადამიანს მეძახის“ — აცხადებს „სანტიაგო ბერნაბეუს“ ფეხბურთელი. მოკლედ, ბექემის საქმე მძიმედაა, თუმცა, ინგლისელის ფანთა სასიხარულოდ გაგიმხელთ, რომ „ინდეპენდენტმა“ დევიდზე ეს სტატია პირველ აპრილს დაწერა, ანუ...

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მსოფლიოს თასი

## გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

C ჯგუფი

არგენტინა, კოტ დიუვარი, სერბეთი, ჰოლანდია

# ტაქსი, რამდენად მიგვიყვან ბერლინამდე?



ხოსე ნესტორ პეკერმანი

**რაკი გერმანია** 2006-ზე გასულ არგენტინელთა შესახებ ვიწყებთ საუბარს, უპირველეს ყოვლისა ის ვთქვათ, რომ სამხრეთამერიკულ გუნდებს შორის არგენტინამ პირველმა გაინაღდა მუნდიალის საგზური. დღევანდელი არგენტინა ახალგაზრდათა და გამოცდილთა დაბალანსებულ ნაზავს წარმოადგენს. მასში მრავლად თამაშობენ 2004 წლის ოლიმპიური ჩემპიონები, რომლებიც მეტწილად ევროპულ გუნდებში გამოდიან. უფრო სწორად სამის გარდა ყველა რომელიმე ევროპული ლიგიდანაა. ეს სამნი არიან „რივერ პლეიტის" მეკარე ხერმან ლუქსი, „კორინთიანსის" კარლოს ტევესი და „კრუს ასულის" სეზარ დელგადო.

მიმომხილველები ამბობენ, რომ არგენტინელებს წარმატებისთვის საჭირო ყველა თვისება აქვთ: ხავიერ ძანეტის თანმიმდევრულობა და დაჟინება, ხუან პაბლო სორინის ლიდერობა, პაბლო აიმარისა და ხავიერ სავიოლას ფინტები და ხუან რომან რიკელმეს არტისტიზმი, რასაც ერთად ამ მოთამაშეების სიყმაწვილისდროინდელი მწვრთნელი და პედაგოგი, დღეს ეროვნული გუნდის თავკაცი ხოსე პეკერმანი კრავს.

* * *

*შესარჩევი ციკლის ვარსკვლავი:* ლუის, იგივე ლუჩო გონსალესი ნახევარმცველია, ბუენოსაირესელი, 1981 წლის 19 იანვარს დაბადებული, „პორტუს" მოთამაშე. „ურაკანში" 14 წლიდან გამოდიოდა, 2002 წელს კი „რივერ პლეიტში" გადავიდა. 2004 წელს მისი დიდი შემწეობით „რივერმა" კლაუსურას ჩემპიონატი მოიგო. ლუჩო 2004 წლის ოლიმპიური ჩემპიონია. სხეულზე უამრავი სვირინგი აქვს, მათ შორის დიეგო მარადონას ავტოგრაფი და ცოლის სახელი ჩინურად.

* * *

*მწვრთნელი:* ხოსე ნესტორ პეკერმანი დაიბადა ენტრე რიოსის პროვინციაში 1949 წელს. არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ხულიო გრონდონას მასზე ნათქვამი აქვს, ჩემი ნება რომ იყოს, პეკერმანს ნაკრების მწვრთნელად სამუდამოდ დავნიშნავდიო. პეკერმანმა, როგორც მწვრთნელმა, სახელი 1994 წლიდან დაიგდო, რაც ქვეყნის ყმაწვილთა ნაკრებები ჩააბარეს. იმ დღიდან მოყოლებული, თავის ერთგულ ასისტენტ უგო ტოკალისთან ერთად აღზარდა თაობა, რომლის უმეტესი ნაწილი დღეს არგენტინის ეროვნული გუნდის ბირთვს წარმოადგენს და რომელმაც დიდი ასაკობრივი შეჯიბრებები მოიგო. კერძოდ, პეკერმანის 20-წლამდელთა ნაკრებმა 1997 და 1999 წლებში სამხრეთ ამერიკის ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო სამჯერ, 1995, 1997 და 2001 წლებში თანატოლთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

გრონდონამ ნაკრების გაძღოლა პირველად 1998 წელს, თანამდებობიდან დანიელ პასარელას გადადგომის შემდეგ სთხოვა, მაგრამ პეკერმანმა ნაკრებთა კოორდინატორობა ამჯობინა, მწვრთნელად კი მარსელო ბიელსა წარადგინა. გრონდონამ პეკერმანს 2004-ში, ახლა უკვე ბიელსას წასვლის შემდეგ სთხოვა საქმის გაძღოლა და ისიც იძულებული გახდა, დასტური ეთქვა.

ხოსე პეკერმანის გუნდებისთვის დამახასიათებელია ოთხი მცველით, სამი ნახევარმცველით, ერთი გამთამაშებლითა და ორი ფორვარდით თამაში.

თვალსაჩინო მწვრთნელის ფეხბურთელობისდროინდელი კარიერა არაფრით იყო გამორჩეული. ის გახლდათ „არგენტინოს ხუნიორსის" მარჯვენა ნახევამცველი ოთხი წლის განმავლობაში, საიდანაც კოლუმბიაში გადაბარგდა და მედელინის „ინდეპენდიენტეში" გააგრძელა თამაში.

ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ ხოსე პეკერმანი ტაქსის მძღოლად მუშაობდა. ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი.

* * *

*კაპიტანი:* ხუან პაბლო სორინი 1976 წლის 5 მაისს ბუენოს აირესში დაიბადა. იგი ესპანეთში, „ვილიარეალში" თამაშობს. მანამდე მოვლილი აქვს შვიდი გუნდი, მათ შორის „იუვე" და „ბარსა". ამბობენ, რომ საძაგელი ურთიერთობა აქვს ხუან სებასტიან ვერონთან, რომელიც პეკერმანს ნაკრებში თითქოს მის გამო არ მიჰყავს. ექსცენტრიული სტილის ფეხბურთელია.

* * *

*ახლანდელი თაობის ვარსკვლავი:* ხუან რომან რიკელმე 1978 წლის 26 ივნისს ბუენოს აირესის გარეუბან სან ფერნანდოში გახლავთ დაბადებული. ბავშვობაში „არგენტინოს ხუნიორსში" ვარჯიშობდა, მისი გულისთვის კი ერთმანეთს „რივერ პლეიტი" და „ბოკა ხუნიორსი" ებრძოდნენ. რომიმ „ბოკა" ამჯობინა, საიდანაც 2002-ში „ბარსელონაში" გადავიდა, მაგრამ იქ ფეხი ვერ მოიკიდა და „ვილიარეალში" გადაბარგდა.

* * *

*ლეგენდა:* არგენტინული ფეხბურთის ყველა დროის უდიდესი ვარსკვლავი ულაპარაკოდ დიეგო მარადონაა, რომელიც, როგორც ხედავთ, მეტად უხერხულ მდგომარეობაში გვაგდებს, რადგან, წესით, ახლა ის უნდა წარვიდგინოთ, ეს კი ჩვენი მხრიდან უბრალოდ სასაცილო იქნებოდა. ერთი სიტყვით, ვინ არის მარადონა, ყველამ იცის, უბრალოდ, შეიძლება ყველას არ ახსოვს, რომ ის 1960 წლის 30 ოქტომბერსაა დაბადებული. და კიდევ, დიდმა ბოსნიელმა რეჟისორმა ემირ კუსტურიცამ წლეულს დაასრულა მუშაობა დოკუმენტურ ფილმზე „მარადონა", რომლის ნახვასაც, თუ საშუალება მოგეცემათ, ცხადია, გირჩევთ.

* * *

\+ არგენტინის ნაკრების ძლიერი მხარეა პასების ქსელის ქსოვით განთქმული ნახევარდაცვა.



დიეგო არმანდო მარადონა

* * *

— რიკელმეზე ზედმეტი დამოკიდებულება. არგენტინელებს არ ჰყავთ უმაღლესი დონის მეკარეც.

* * *

*აზრი:* გაზეთ „ლა ნასიონის" მიმომხილველი მანუელ ეპელბაუმი: „არგენტინის ნაკრების საუკეთესო ვარიანტი ჯერ ცნობილი არ არის, ასე რომ, ბევრი რამ პეკერმანის არჩევანზე იქნება დამოკიდებული. მის ხელთ დიდძალი ნედლეული და რამდენიმე გამორჩეული ნიჭის მქონე ფეხბურთელია. თუ მწვრთნელი ამ ყველაფერს კარგად შეუზავებს ერთმანეთს, არგენტინის ნაკრებს შეუძლია ჩემპიონატის უდიდესი გუნდი გახდეს".



ხუან პაბლო სორინი

### არგენტინის ნაკრების ჯგუფური მატჩების განრიგი

| | | |
|---|---|---|
| 10 ივნისი | არგენტინა — კოტ დივუარი | ჰამბურგი |
| 16 ივნისი | არგენტინა — სერბეთი | გელზენკირხენი |
| 20 ივნისი | არგენტინა — ჰოლანდია | ფრანკფურტი |

### არგენტინის გზა ფინალური ეტაპისაკენ

| | | |
|---|---|---|
| 06.09.2003 | არგენტინე — ჩილე | 2:2 |
| 09.09.2003 | ვენესუელა — არგენტინა | 0:3 |
| 15.11.2003 | არგენტინა — ბოლივია | 3:0 |
| 19.11.2003 | კოლუმბია — არგენტინა | 1:1 |
| 30.03.2004 | არგენტინა — ეკვადორი | 1:0 |
| 02.06.2004 | ბრაზილია — არგენტინა | 3:1 |
| 06.06.2004 | არგენტინა — პარაგვაი | 0:0 |
| 04.09.2004 | პერუ — არგენტინა | 1:3 |
| 09.10.2004 | არგენტინა — ურუგვაი | 4:2 |
| 13.10.2004 | ჩილე — არგენტინა | 0:0 |
| 17.11.2004 | არგენტინა — ვენესუელა | 3:2 |
| 26.03.2005 | ბოლივია — არგენტინა | 1:2 |
| 30.03.2005 | არგენტინა — კოლუმბია | 1:0 |
| 04.06.2005 | ეკვადორი — არგენტინა | 2:0 |
| 08.06.2005 | არგენტინა — ბრაზილია | 3:1 |
| 03.09.2005 | პარაგვაი — არგენტინა | 1:0 |
| 09.10.2005 | არგენტინა — პერუ | 2:0 |
| 12.10.2005 | ურუგვაი — არგენტინა | 1:0 |

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 18 | 9 | 7 | 2 | 35:17 | 34 |
| არგენტინა | 18 | 10 | 4 | 4 | 29:17 | 34 |
| ეკვადორი | 18 | 8 | 4 | 6 | 23:19 | 28 |
| პარაგვაი | 18 | 8 | 4 | 6 | 23:23 | 28 |
| ურუგვაი | 18 | 6 | 7 | 5 | 23:28 | 25 |
| კოლუმბია | 18 | 6 | 6 | 6 | 24:16 | 24 |
| ჩილე | 18 | 5 | 7 | 6 | 18:22 | 22 |
| ვენესუელა | 18 | 5 | 3 | 10 | 20:28 | 18 |
| პერუ | 18 | 4 | 6 | 8 | 20:28 | 18 |
| ბოლივია | 18 | 4 | 2 | 12 | 20:37 | 14 |

# დასვეს და აგინა

## მოჯიმ იბრაჰიმოვიჩი არ გაამუქა





**ლონდონის** „არსენალთან" შერცხვენილმა „იუვენტუსმა" გასულ უქმეებზეც ვერ იხეირა. ტურინელები სერია A-ს ერთ-ერთ აუტსაიდერს, „ტრევიზოს" გაეყარნენ უგოლოდ. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: „ბებერი ქალბატონი" ახლა არცთუ კორგ ფორმაშია, რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა და თან „მეთოფეებთან" საპასუხო შეხვედრაზე ფიქრობდა. თუმცა „ტრევიზოსთან" მატჩში მთავარი სხვა რამ გახლდათ, კერძოდ, ინციდენტი ზლატან იბრაჰიმოვიჩის მონაწილეობით.

„იუვეს" შვედი ფორვარდი მთელი სეზონია არადამაჯერებლად თამაშობს. მის ანგარიშზე სერია A-ში ოდენ 6 გოლია, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში 3. ბუნებრივია, ეს ტურინელთა თამაშს ემჩნევა და ზლატანსაც კრიტიკა არ აკლია. ყველასთვის ცნობილია, რომ იბრაჰიმოვიჩი ფაბიო კაპელოს ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელია და დონ ფაბიო მას ძალიან ენდობა, თუმცა ბოლო დროს უკვე ხშირად სვამს სათადარიგოთა სკამზე.

„ტრევიზოსთან" მატჩში იბრაჰიმოვიჩის ერთი დარტყმა ძელს მოხვდა და მან რამდენიმე კარგი მომენტი ვერ გამოიყენა როგორც ჩანს, ამით უკმაყოფილო კაპელომ მის ნაცვლად 64-ე წუთზე მინდორზე მარსელო ზალაიეტა შეუშვა ამან ახმახი შვედი ძალიან გააბრაზა და მას მწვრთნელთან და მის თანაშემწესთან მცირე შელაპარაკებაც მოუვიდა იტალიური პრესის ცნობით, სათადარიგოთა სკამიდან ზლატანმა რამდენიმე უცენზურო სიტყვაც წამოიძახა ელოდნენ, რომ ამისთვის დააჯარიმებდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა „ბებერი ქალბატონის" ხელმძღვანელობამ კლუბში არსებული მცირე დაძაბულობის უფრო გამწვავებისგან თავი შეიკავა

„ზლატანი გაღიზიანებული იყო. ასეთი რამ ფეხბურთში ხშირად ხდება და გასაკვირი არაფერია. ვითარების გამუქება საჭირო არ არის. როდესაც ფეხბურთელი საუკეთესო თამაშს ვერ აჩვენებს, ბრაზდება" — თქვა „იუვენტუსის" გენერალურმა მენეჯერმა ლუჩანო მოჯიმ.

დაბოლოს, გავიხსენოთ რამდენიმე კვირის წინანდელი ამბავი, როდესაც კაპელომ იბრაჰიმოვიჩი ერთ-ერთი ვარჯიშის მერე დატოვა და წამეცადინა კარში ზუსტად დარტყმებში. თუმცა შვედი თამაშის გამოსწორებას ჯერ ვერ ახერხებს. აპენინურ ჟურნალ-გაზეთებში კი ისევ იწერება, ეს შარშანდელი ზლატანის აჩრდილიაო.

მექსიკის ნაკრების მწვრთნელი, რიკარდო ლავოლპე პირველია, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის 26-კაციანი შემადგენლობა ჩამოაწიკწიკა. ფიფას მოთხოვნით, განაცხადი 15 მაისისამდე უნდა გამხმდეს. ლავოლპეს, როგორც ჩანს, საქმე კარგად აქვს და შემადგენლობაც ნაადრევად დაასახელა, ოღონდ, 26-დან სამი სათადარიგოა და განაცხადი საბოლოო სახეს 15 მაისამდე მიიღებს.

**მეკარეები:** *ოსვალდო სანჩესი, ხოსე დე ხესუს კორონა, გილერმო ოჩოა*

**მცველები:** *ხოსე ანტონიო კასტრო, მარიო მენდესი, ხოსე უიკი, რიკარდო ოსორიო, ფრანსისკო ხავიერ როდრიგესი, რაფაელ მარკესი, კლაუდიო სუარესი, კარლოს სალსიდო, ხოსე ანდრეს გუარდადო, გონსალო პინედა, რაფაელ გარსია*

**ნახევარმცველები:** *ლუის პერესი, ხესუს არელანო, პაველ პარდო, ანტონიო ნაელსონი, გერარდო ტორადო, რამონ მორალესი, ისრაელ ლოპესი, ხაიმე ლოსანო*

**თავდამსხმელები:** *ომარ ბრავო, ფრანსისკო ფონსეკა, გილერმო ფრანკო, ხარედ ბორგეტი*

# კულემანსი გენტს გაჰყვა

**ბელგიური** „ბრიუგეს" მთავარი მწვრთნელი იან კულემანსი გადადგა და მის ნაცვლად ემილიო ფერერა დანიშნეს. წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა კლუბი სეზონის დასაწყისში ჩაიბარა და მისი მუშაობა არცთუ წარმატებული გამოდგა.

„ჩემი ნებით გადავდექი, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ახლა არ მინდა. დაწვრილებით მოგვიანებით ვისაუბრებ" — თქვა კულემანსმა.

„ბრიუგემ" ერთი კვირის წინ ისტორიულ მეტოქესთან, „ანდერლეხტთან" წააგო, გასულ უქმეებზე კი „გენტთან" 1:4 დამარცხდა. კულემანსი ხელმძღვანელობის კრიტიკას აღარ დაელოდა და თავად წავიდა. „იუპილერლიგის" დასრულებამდე 5 ტურია დარჩენილი, ხოლო „ბრიუგე" პირველადგილოსან „ანდერლეხტს" 8 ქულით ჩამორჩება, მეორე საფეხურზე მყოფ „სტანდარდთან" კი სხვაობა 7 ქულაა.

**კოკი კანდელაკი**

## საფრანგეთი

### მეორე დივიზიონი XXXII ტური

კაენი — გენიონი 1:0; კლერმონი — შატორუ 0:2; დიჟონი — ლე ავრი 1:2; გენგამი — რეიმსი 2:1; ისტრი — ამიენი 1:0; ლავალი — ვალანსიენი 0:2; ლორიანი — მონპელიე 3:0; სეტე — კრეტეი 1:1; სედანი — ბრესტი 2:2. *გრენობლი — ბასტია გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდი) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სედანი | 32 | 16 | 12 | 4 | 44:27 | 60 |
| ვალანსიენი | 32 | 16 | 11 | 5 | 42:25 | 59 |
| ბასტია | 31 | 16 | 8 | 7 | 43:23 | 56 |
| ლორიანი | 32 | 15 | 10 | 7 | 38:22 | 55 |
| კაენი | 32 | 13 | 12 | 7 | 41:29 | 51 |
| დიჟონი | 32 | 12 | 11 | 9 | 36:29 | 47 |
| ლე ავრი | 32 | 10 | 14 | 8 | 39:34 | 44 |
| კრეტეი | 32 | 10 | 13 | 9 | 38:27 | 43 |
| მონპელიე | 32 | 11 | 9 | 12 | 28:33 | 42 |
| გენგამი | 32 | 9 | 14 | 9 | 25:24 | 41 |
| გენიონი | 32 | 9 | 14 | 9 | 22:31 | 41 |
| გრენობლი | 31 | 10 | 10 | 11 | 29:33 | 40 |
| ისტრი | 32 | 10 | 9 | 13 | 28:42 | 39 |
| რეიმსი | 32 | 8 | 14 | 10 | 25:22 | 38 |
| შატორუ | 32 | 8 | 13 | 11 | 38:40 | 37 |
| ბრესტი | 32 | 8 | 12 | 12 | 30:36 | 36 |
| ამიენი | 32 | 7 | 14 | 11 | 29:34 | 35 |
| ლავალი | 32 | 8 | 7 | 17 | 30:47 | 31 |
| კლერმონი | 32 | 8 | 7 | 17 | 27:50 | 31 |
| სეტე | 32 | 3 | 10 | 19 | 25:49 | 19 |

## უკრაინა

### უმაღლესი ლიგა. XXIV ტური

არსენალი — მეტალურგი (ზ) 1:2; სტალი — შახტარი 1:3; ჩერნომორეცი — ვოლინი 2:0; მეტალურგი (დ) — დნეპრი 1:1; ილიჩევეცი — კრივბასი 1:0; ზაკარპატია — ტავრია 0:1; ვორსკლა — ხარკოვი 0:0; მეტალისტი — დინამო 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 24 | 20 | 4 | 0 | 57:14 | 64 |
| შახტარი | 24 | 19 | 4 | 1 | 52:10 | 61 |
| ჩერნომორეცი | 24 | 11 | 5 | 8 | 32:25 | 38 |
| ილიჩევეცი | 24 | 10 | 7 | 7 | 22:24 | 37 |
| მეტალურგი (დ) | 24 | 9 | 8 | 7 | 28:21 | 35 |
| მეტალისტი | 24 | 9 | 5 | 10 | 28:32 | 32 |
| ხარკოვი | 24 | 8 | 6 | 10 | 28:28 | 30 |
| დნიპრო | 23 | 7 | 8 | 8 | 22:21 | 29 |
| ვორსკლა | 24 | 7 | 8 | 9 | 20:26 | 29 |
| ტავრია | 24 | 8 | 4 | 12 | 21:27 | 28 |
| ვოლინი | 24 | 8 | 4 | 12 | 27:39 | 28 |
| კრივბასი | 24 | 7 | 5 | 12 | 19:25 | 26 |
| მეტალურგი (ზ) | 24 | 7 | 5 | 12 | 22:34 | 26 |
| სტალი | 23 | 6 | 7 | 10 | 20:35 | 25 |
| არსენალი | 24 | 6 | 6 | 12 | 19:31 | 24 |
| ზაკარპატია | 24 | 3 | 6 | 15 | 14:39 | 15 |

## ჩეხეთი

### გამბრინუსლიგა. XXIII ტური

სლავია — მოსტი 3:0; ბანიკი — სლოვაცკო 2:0; ბლშანი — სპარტა 0:0; იაბლონეცი — ბრნო 0:2; პლზენი — ბოლესლავი 0:1; ტეპლიცე — იჰლავა 3:1; ზლინი — პრჟიბრამი 1:0; სიგმა — ლიბერეცი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 23 | 14 | 7 | 2 | 33:14 | 49 |
| ტეპლიცე | 23 | 10 | 11 | 2 | 30:18 | 41 |
| სლავია | 22 | 11 | 7 | 4 | 39:25 | 40 |
| ბოლესლავი | 22 | 11 | 5 | 6 | 35:28 | 38 |
| იაბლონეცი | 23 | 9 | 5 | 9 | 31:29 | 32 |
| სიგმა | 22 | 9 | 4 | 9 | 28:32 | 31 |
| სპარტა | 22 | 8 | 5 | 9 | 31:30 | 29 |
| ზლინი | 21 | 7 | 6 | 8 | 18:21 | 27 |
| მოსტი | 23 | 8 | 3 | 12 | 22:31 | 27 |
| პრჟიბრამი | 21 | 6 | 7 | 8 | 27:25 | 25 |
| პლზენი | 23 | 5 | 9 | 9 | 24:28 | 24 |
| ბანიკი | 21 | 6 | 6 | 9 | 18:22 | 24 |
| სლოვაცკო | 23 | 5 | 8 | 10 | 21:27 | 23 |
| ბრნო | 21 | 4 | 10 | 7 | 21:23 | 22 |
| ბლშანი | 21 | 4 | 9 | 8 | 15:28 | 21 |
| იჰლავა | 21 | 4 | 8 | 9 | 14:26 | 20 |

## დანია

### სუპერლიგა. XXV ტური

ორჰუსი — კოპენჰაგენი 0:4; ოლბორგი — ნორდსიელანდი 2:4; ესბიერგი — სილკებორგი 2:0; მიდტიულანდი — ჰორსენსი 0:0; ოდენსე — სონდერისკე 3:0; ვიბორგი — ბრონდბიუ 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 24 | 17 | 5 | 2 | 48:19 | 56 |
| ბრონდბიუ | 25 | 17 | 3 | 5 | 47:22 | 54 |
| ვიბორგი | 25 | 13 | 5 | 7 | 47:32 | 44 |
| ოდენსე | 25 | 12 | 5 | 8 | 36:24 | 41 |
| ესბიერგი | 25 | 9 | 5 | 11 | 31:32 | 32 |
| მიდტიულანდი | 25 | 8 | 7 | 10 | 33:42 | 31 |
| ოლბორგი | 25 | 7 | 9 | 9 | 36:36 | 30 |
| ნორდსიელანდი | 24 | 7 | 8 | 9 | 37:37 | 29 |
| სილკებორგი | 25 | 8 | 5 | 12 | 24:39 | 29 |
| ჰორსენსი | 25 | 5 | 13 | 7 | 21:30 | 28 |
| ორჰუსი | 25 | 3 | 8 | 14 | 29:51 | 17 |
| სონდერისკე | 25 | 3 | 7 | 15 | 31:56 | 16 |

### I დივიზიონი. XVII ტური

ბრიონსჰოი — ფრედერისია 0:2; ფრემადი — ფრემი 0:1; კოლდინგი — ნიკობინგი 3:2; აკადემისკი — იოლსტიკე 2:0; კიოგე — ბრანდი 0:2; რანდერსი — სიოლდი 2:0; ველე — ჰელერუპი 2:1; ლიუნგბიუ — ჰერფიოლგე გადაიდო

## სლოვენია

### სი მობილ ლიგა XXIII ტური

დომჟალე — კრაინა 2:1; კოპერი — გორიცა 1:1; მარიბორი — ნაფტა 5:1; პრიმორიე — რუდარი 1:1; პუბლიკუმი — დრავა 3:1

## შვეიცარია

### ჩელენჯლიგა. XXV ტური

ბოლმი — მეირინი 1:1; კონკორდია — ლუცერნი 0:1; ვოლენი — შო დე ფონი 1:0; კრინსი — ლუგანო 1:2; კიასო — სიონი 1:0; ლოკარნო — ლოზანა 1:2; იუვენტუსი — ვინტერთური 0:4; ვილი — ბელინცონა 0:1; ბადენი — ვადუცი 1:0

## სლოვაკეთი

### I ლიგა. XXV ტური

ბანსკა ბისტრიცა — პეტრჟალკა 0:0; ინტერი — პუხოვი 2:1; რუჟემბეროკი — დუბნიცა 3:1; ტრენჩინი — ჟილინა 2:1; ტრნავა — ნიტრა 0:1

## არგენტინა

### კლაუსურა XII ტური

სან ლორენსო — კილმესი 0:0; ინდეპენდიენტე — არსენალი 0:2; როსარიო — ნიუელზი 0:0; არგ. ხუნიორსი — რასინგი 2:0; ხიმნასია (ხ) — ხიმნასია (ლ) 0:0; ინსტიტუტო — ტირო ფედერალი 3:4; ოლიმპო — კოლონი 1:0; ბოკა ხუნიორსი — ბანფილდი 2:1; ლანუსი — რივერ პლეიტი 4:1

## შვედეთი

### ალსვენსკა. I ტური

გაის — იორგრიტე 2:0; აიკ — გეფლე 2:2; გიოტებორგი — იოსტერი 0:0; მალმიო — ჰეკენი 1:1.

## ირლანდია

### პრემიერდივიზიონი. IV ტური

დუბლინ სიტი — კორკი 0:0; ლონგფორდი — დუბლინი 1:1; სლიგო — სენტ პატრიკსი 1:1

## შოტლანდია

### I დივიზიონი. XXXII ტური

სტ. მირენი — ჰამილტონი 0:2; სტ. ჯონსტონი — სტრანრარი 3:2; ქუინი — როსი 0:0; კლაიდი — ერდრი 3:1

### II დივიზიონი. XXXII ტური

პიტერჰედი — მორტონი 2:1; პარტიკი — ალოა 2:3; ფორფარი — რეით როვერსი 0:2; ეირი — სტირლინგი 3:0

### III დივიზიონი. XXXII ტური

სტენჰაუზმური — კოუდენბითი 1:2; მონტროუზი — ბერუიკი 1:2; ისტ ფაიფი — ელჯინი 0:2; არბროა — ქუინზ პარკი 1:0; ალბიონი — ისტ სტირლინგი 2:0


**სამშენებლო კომპანია „IBC" აცხადებს კონკურსს ტექნიკური დირექტორის თანამდებობაზე**

აუცილებელი მოთხოვნები:
1. უმაღლესი ტექნიკური განათლება სამშენებლო სფეროში;
2. მუშაობის გამოცდილება სამშენებლო სფეროში ხელმძღვანელ თანამდებობაზე;
3. უცხო ენები: ინგლისური, რუსული (სასურველია თურქული);
4. კომპიუტერული პროგრამები (Office programs; Archicad; AutoCad).

სამუშაო ვალდებულებები:
1. საპროექტო დოკუმენტაციასთან მუშაობა;
2. მშენებლობის ორგანიზაციის დაგეგმვა;
3. ობიექტების მშენებლობის კორდინირება.

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 25 აპრილი

დაინტერესებულმა პირებმა გადმოაგზავნონ თავიანთი CV, ფოტოსურათი და დიპლომის ასლი შემდეგ მისამართზე: hr@ibc.ge


## ხორვატია

### ნაციონალლიგა

### პლეი ოფი. III ტური

ვარტექსი — ჰაიდუკი 2:0; რიეკა — კამენი 3:0; ოსიეკი — დინამო 0:0

### პლეი აუტი. III ტური

ზაგრები — მედიმურიე 1:0; სლავენი — ინტერი 1:1; ციბალია — პულა 0:0

## უნგრეთი

### ბორსოდი ლიგა. XXI ტური

ფეჰერვარი — რეაკი 3:1; სოპრონი — დიორი 2:0; ტატაბანია — უიპეშტი 1:1; დიოშ დიორი — დებრეცენი 3:3; ჰონვედი — კაპოშვარი 0:2; ლომბარდ პაპა — ზალაეგერსეგი 2:1; პეჩი — ვაშაში 0:0; ფერენცვაროში — მტკ 1:0

## იაპონია

### ჯეი ლიგა. VI ტური

სერეზო — კოფუ 2:3; იოკოჰამა — ტოკიო 1:1; შიმიცუ — გამბა 2:3; ურავა — ნაგოია 0:0; კიოტო — ფუკუოკა 2:1; ნიიგატა — ჰიროსიმა 1:1; კაშიმა — ომია 2:1; კავასაკი — იჩიჰარა 2:2; ოიტა — ივატა 1:2

## მექსიკა

### კლაუსურა. XIII ტური

ატლანტე — ტოლუკა 0:0; დორადოსი — ატლასი 3:1; ჩივასი — პაჩუკა 3:2; ტიგრესი — ტეკოსი 0:0; ვერაკრუსი — ამერიკა 0:1; ნეკაქსა — მონტერეი 1:4; პუმასი — საგუარესი 2:1; სანტოსი — მორელია 0:0; სან ლუისი — კრუს ასული 2:1

## ჩილე

### პრიმერადივიზიონი. X ტური

კონსეპსიონი — კობრელასი 2:1; პალესტინო — პუერტო მონტი 1:5; უაჩიპატო — უნივერსიდად დე ჩილე 2:1; კოკიმბო — მორნინგი 1:1; კობრელოა — ლა სერენა 2:2; კოლო კოლო — რეინჯერსი 7:2; ევერტონი — ჰიგინსი 0:2; იტალიანო — ესპანიოლა 1:1; ანტოფაგასტა — უონდერერსი 2:1


**სარბიელი**

**სამუშაოდ იწვევს**

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს

მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

# სარბიელი და კროკი
## წარმოგიდგენთ
## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 2 | ბირმინგემი-ბოლტონი | 2.70 | 3.20 | 2.45 | 1.46 | 1.28 | 1.38 |
| | | **8 აპრილი** | | | | | | |
| 15:45 | 4 | ტოტენჰემი-სიტი | 1.70 | 3.30 | 4.60 | 1.12 | 1.24 | 1.92 |
| 18:00 | 5 | ჩარლტონი-ევერტონი | 2.20 | 3.00 | 3.10 | 1.26 | 1.28 | 1.52 |
| 18:00 | 7 | პორტსმუთი-ბლექბერნი | 2.75 | 3.00 | 2.45 | 1.43 | 1.29 | 1.34 |
| 18:00 | 9 | სანდერლენდი-ფულემი | 3.20 | 3.00 | 2.20 | 1.54 | 1.30 | 1.26 |
| 20:15 | 11 | უიგანი-ბირმინგემი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 18:00 | 6 | მიდლსბრო-ნიუკასლი | 2.30 | 3.00 | 3.00 | 1.30 | 1.30 | 1.50 |
| 19:00 | 10 | მანჩესტერი-არსენალი | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 15:00 | 12 | ასტონ ვილა-ვესტ ბრომვიჩი | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| 15:00 | 13 | ჩელსი-ვესტ ჰემი | 1.30 | 4.50 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.94 |
| 17:00 | 15 | ლივერპული-ბოლტონი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |

**ინგლისი. I ლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 28 | პორტ ველი-დონსი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |

**ინგლისი. II ლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 41 | ბერი-მაკლსფილდი | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 22:45 | 42 | როჩდეილი-დარლინგტონი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |

**ინგლისი. კონფერენსი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 55 | მორიკომბი-ჰერეფორდი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 22:45 | 56 | ალტრინჰემი-იორკი | 2.80 | 3.30 | 2.20 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| 22:45 | 57 | კემბრიჯი-ექსეტერი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 22:45 | 58 | კონვი-უოკინგი | 2.25 | 3.30 | 2.75 | 1.33 | 1.23 | 1.50 |
| 22:45 | 59 | გრეივსენდი-გრეისი | 2.90 | 3.30 | 2.15 | 1.54 | 1.23 | 1.30 |
| 22:45 | 60 | ტემუორთი-ალდერშოტი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 73 | სელტიკი-ჰართსი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 22:45 | 74 | ჰიბერნიანი-კილმარნოკი | 2.15 | 3.10 | 3.10 | 1.26 | 1.26 | 1.54 |

**შოტლანდია. II დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 89 | ფორფარი-სტირლინგი | 2.40 | 3.40 | 2.45 | 1.40 | 1.21 | 1.42 |

**შოტლანდია. III დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 95 | ისტ სტირლინგი-კოუდენბითი | 8.50 | 5.50 | 1.20 | 3.33 | 1.05 | 1.00 |

**გერმანია. I ბუნდესლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **8 აპრილი** | | | | | | |
| 17:30 | 101 | არმინია-აინტრახტი | 2.05 | 3.10 | 3.40 | 1.23 | 1.27 | 1.62 |
| 17:30 | 102 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 2.10 | 3.10 | 3.30 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| 17:30 | 103 | კაიზერსლაუტერნი-ჰერტა | 2.55 | 3.00 | 2.60 | 1.37 | 1.28 | 1.39 |
| 17:30 | 105 | კიოლნი-ვოლფსბურგი | 2.40 | 3.10 | 2.75 | 1.35 | 1.28 | 1.45 |
| 17:30 | 106 | მაინცი-ჰანოვერი | 2.15 | 3.10 | 3.20 | 1.26 | 1.28 | 1.57 |
| 17:30 | 107 | შტუტგარტი-ნიურნბერგი | 1.85 | 3.20 | 3.90 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 17:30 | 108 | ვერდერი-ბაიერნი | 2.60 | 3.10 | 2.55 | 1.41 | 1.28 | 1.39 |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 19:30 | 109 | დუისბურგი-შალკე | 3.60 | 3.20 | 1.95 | 1.69 | 1.26 | 1.21 |
| 19:30 | 111 | ჰამბურგი-გლადბახი | 1.55 | 3.50 | 5.65 | 1.07 | 1.21 | 2.16 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 133 | რეგენსბურგი-ჰოფენჰაიმი | 2.80 | 3.20 | 2.20 | 1.49 | 1.23 | 1.30 |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 134 | ბაიერნი(მ)-ფულენდორფი | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 21:00 | 135 | აალენი-კობლენცი | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |

**ავსტრია. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 529 | კუფშტაინი-შვანენშტადტი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 21:30 | 157 | აარაუ-თუნი | 2.30 | 3.10 | 2.80 | 1.32 | 1.26 | 1.47 |
| 21:30 | 158 | სტ.გალენი-გრასჰოპერი | 2.50 | 3.10 | 2.60 | 1.38 | 1.27 | 1.41 |
| 20:45 | 159 | ქსამაქსი-ივერდონი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 21:30 | 160 | ციურიხი-შაფჰაუზენი | 1.35 | 4.10 | 7.50 | 1.01 | 1.14 | 2.65 |

**ესპანეთი. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **8 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 231 | კადისი-ბეტისი | 2.60 | 3.00 | 2.70 | 1.39 | 1.32 | 1.42 |
| 23:45 | 232 | სელტა-ვალენსია | 2.60 | 2.90 | 2.70 | 1.37 | 1.32 | 1.39 |
| 19:00 | 234 | მალაგა-ხეტაფე | 2.50 | 3.10 | 2.65 | 1.38 | 1.28 | 1.42 |
| 22:00 | 235 | რეალი-სოსიედადი | 1.35 | 4.50 | 7.50 | 1.03 | 1.14 | 2.81 |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 228 | ალავესი-ოსასუნა | 2.55 | 2.90 | 2.70 | 1.35 | 1.31 | 1.39 |
| 19:00 | 230 | ბილბაო-მალიორკა | 1.95 | 3.10 | 3.90 | 1.19 | 1.29 | 1.72 |
| 19:00 | 233 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 2.40 | 3.00 | 2.90 | 1.33 | 1.31 | 1.47 |
| 21:00 | 237 | რასინგი-ბარსელონა | 5.00 | 3.50 | 1.60 | 2.05 | 1.21 | 1.09 |
| 21:00 | 239 | სევილია-სარაგოსა | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 23:00 | 240 | ვილიარეალი-დეპორტივო | 2.20 | 3.00 | 3.30 | 1.26 | 1.32 | 1.57 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 531 | ალკმაარი-ბრედა | 1.30 | 4.40 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.95 |

**პოლონეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 20:30 | 371 | კორონა-პოგონი | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 20:30 | 372 | ლეჩნა-არკა | 2.00 | 3.10 | 3.30 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| 20:30 | 373 | პლოცკი-ლეხი | 2.05 | 3.10 | 3.20 | 1.23 | 1.24 | 1.57 |
| 20:30 | 530 | ოდრა-გურნიკი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 20:30 | 374 | ზაგლებე-პოლონია | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |

**ჩეხეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 383 | პრჟიბრამი-ბლშანი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 20:00 | 384 | ბანიკი-ბრნო | 2.00 | 3.00 | 3.40 | 1.20 | 1.25 | 1.59 |

**სლოვაკეთი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 17:30 | 393 | პუხოვი-რუჟომბეროკი | 3.20 | 3.00 | 2.05 | 1.54 | 1.24 | 1.21 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 394 | ქილინა-პეტრჟალკა | 2.20 | 3.10 | 2.90 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| | | **ნორვეგია ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 426 | ჰამარი-ვიკინგი | 2.25 | 3.30 | 2.80 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 20:00 | 427 | მოლდე-ტრომსიო | 2.25 | 3.30 | 2.80 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 20:00 | 428 | სტაბეკი-სანდეფიორდი | 1.80 | 3.50 | 3.85 | 1.18 | 1.22 | 1.83 |
| 20:00 | 429 | სტარტი-ლინი | 2.10 | 3.30 | 3.00 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 20:00 | 430 | ვოლერენგა-ოდდ გრენლანდი | 1.55 | 3.70 | 5.50 | 1.09 | 1.20 | 2.21 |
| 22:00 | 431 | ლილესტრომი-როზენბორგი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 432 | ფრედრიკსტადი-ბრანი | 2.30 | 3.30 | 2.80 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| | | **შვედეთი ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 444 | ჰამარბი-ჰელსინგბორგი | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 502 | მილანი-ლიონი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 22:45 | 503 | ვილიარეალი-ინტერი | 2.50 | 3.10 | 2.70 | 1.38 | 1.29 | 1.44 |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 504 | ბარსელონა-ბენფიკა | 1.30 | 4.80 | 9.00 | 1.02 | 1.13 | 3.13 |
| 22:45 | 505 | იუვენტუსი-არსენალი | 1.80 | 3.40 | 4.20 | 1.17 | 1.25 | 1.87 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 506 | ზენიტი-სევილია | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 21:30 | 507 | სტიაუა-რაპიდი(ბ) | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 22:30 | 508 | შალკე-ლევსკი | 1.40 | 4.00 | 7.50 | 1.03 | 1.17 | 2.60 |
| 23:00 | 509 | მიდლსბრო-ბაზელი | 1.80 | 3.50 | 4.00 | 1.18 | 1.24 | 1.86 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **თურქეთი. თასი** | | | | | | |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 527 | გაზიანთეფი-ბეშიქთაში | 3.40 | 3.20 | 2.00 | [illegible] | [illegible] | 1.23 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 528 | დენიზლი-ფენერბაჩე | 5.20 | 3.50 | 1.60 | 2.09 | 1.22 | 1.09 |
| | | **ავსტრიის თასი** | | | | | | |
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 532 | ალტახი-პაშინგი | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 21:00 | 533 | კაფენბერგი-აუსტრია | 6.20 | 3.50 | 1.50 | 2.23 | 1.20 | 1.04 |
| 21:00 | 534 | გრატკორნი-რიდი | 2.80 | 3.10 | 2.30 | 1.47 | 1.26 | 1.32 |
| 21:00 | 535 | მატერსბურგი-რაპიდი | 2.80 | 3.10 | 2.30 | 1.47 | 1.26 | 1.32 |
| | | **როიალ ლიგა** | | | | | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 22:35 | 510 | კოპენჰაგენი-ლილესტრიომი | 1.90 | 3.30 | 3.70 | 1.20 | 1.25 | 1.74 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 516 | ნასიონალი-ინტერნასიონალი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 23:45 | 518 | სპორტინგ კრისტალი-ქუილმესი | 2.30 | 3.30 | 2.60 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 519 | პაულისტა-რივერ პლეიტი | 2.80 | 3.20 | 2.20 | 1.49 | 1.23 | 1.30 |
| 23:45 | 520 | სტრონგესტი-გოიასი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 23:45 | 521 | სან პაულუ-ჩივასი | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 522 | სერო-როსარიო | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 23:45 | 523 | უნ.კატოლიკა-კორინთიანსი | 2.15 | 3.20 | 2.85 | 1.28 | 1.22 | 1.50 |
| 23:45 | 524 | ქუიტო-უნივერსიტარია | 1.28 | 4.60 | 8.00 | 1.00 | 1.10 | 2.92 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **4 აპრილი** | | | | | | |
| 15:30 | 645 | ავანგარდი-მაგნიტოგორსკი | 2.10 | 4.00 | 2.20 | 1.37 | 1.07 | 1.41 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10502 | მილანი-ლიონი | 2.10 | 2.10 | 4.90 | 1.04 | 1.47 | 1.47 |
| 10503 | ვილიარეალი-ინტერი | 2.85 | 2.00 | 3.30 | 1.17 | 1.52 | 1.24 |
| 10504 | ბარსელონა-ბენფიკა | 1.45 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.20 | 1.94 |
| 10505 | იუვენტუსი-არსენალი | 2.20 | 2.00 | 4.50 | 1.04 | 1.47 | 1.38 |
| 10506 | ზენიტი-სევილია | 2.65 | 2.00 | 3.20 | 1.13 | 1.44 | 1.23 |
| 10507 | სტიაუა-რაპიდი(ბ) | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10508 | შალკე-ლევსკი | 1.55 | 2.40 | 6.50 | 1.00 | 1.25 | 1.75 |
| 10509 | მიდლსბრო-ბაზელი | 2.25 | 2.00 | 4.50 | 1.05 | 1.50 | 1.38 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11502 | მილანი-ლიონი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11503 | ვილიარეალი-ინტერი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11504 | ბარსელონა-ბენფიკა | 1.60 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11505 | იუვენტუსი-არსენალი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11506 | ზენიტი-სევილია | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11507 | სტიაუა-რაპიდი(ბ) | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11508 | შალკე-ლევსკი | 1.75 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11509 | მიდლსბრო-ბაზელი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12502 მილანი-ლიონი ---------------------- 1.60 ------ 2.10
12503 ვილიარეალი-ინტერი --------------- 1.60 ------ 2.10
12504 ბარსელონა-ბენფიკა ---------------- 2.00 ------ 1.65
12505 იუვენტუსი-არსენალი --------------- 1.70 ------ 1.90
12506 ზენიტი-სევილია -------------------- 1.70 ------ 1.90
12507 სტიაუა-რაპიდი(ბ) ------------------ 1.55 ------ 2.10
12508 შალკე-ლევსკი ----------------------- 1.90 ------ 1.70
12509 მიდლსბრო-ბაზელი ----------------- 1.70 ------ 1.90

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13502 მილანი-ლიონი ---------------------- 1.70 ------ 1.90
13503 ვილიარეალი-ინტერი --------------- 1.70 ------ 1.90
13504 ბარსელონა-ბენფიკა ---------------- 1.70 ------ 1.90
13505 იუვენტუსი-არსენალი --------------- 1.90 ------ 1.70
13506 ზენიტი-სევილია -------------------- 1.70 ------ 1.90
13507 სტიაუა-რაპიდი(ბ) ------------------ 1.70 ------ 1.90
13508 შალკე-ლევსკი ----------------------- 1.90 ------ 1.60
13509 მიდლსბრო-ბაზელი ----------------- 1.70 ------ 1.90

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14502 მილანი-ლიონი ---------------------- 1.40 ------ 2.30
14503 ვილიარეალი-ინტერი --------------- 1.80 ------ 1.90
14504 ბარსელონა-ბენფიკა ---------------- 1.06 ------ 2.40
14505 იუვენტუსი-არსენალი --------------- 1.55 ------ 2.20
14506 ზენიტი-სევილია -------------------- 1.80 ------ 2.00
14507 სტიაუა-რაპიდი(ბ) ------------------ 1.70 ------ 2.20
14508 შალკე-ლევსკი ----------------------- 1.15 ------ 2.60
14509 მიდლსბრო-ბაზელი ----------------- 1.60 ------ 2.30

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15502 | მილანი-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15503 | ვილიარეალი-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15504 | ბარსელონა-ბენფიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15505 | იუვენტუსი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15506 | ზენიტი-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15507 | სტიაუა-რაპიდი(ბ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15508 | შალკე-ლევსკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15509 | მიდლსბრო-ბაზელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16502 მილანი-ლიონი ---------------------- 1.25 ------ 3.00
16503 ვილიარეალი-ინტერი --------------- 1.65 ------ 1.90
16504 ბარსელონა-ბენფიკა ---------------- 1.04 ------ 6.00
16505 იუვენტუსი-არსენალი --------------- 1.30 ------ 2.80
16506 ზენიტი-სევილია -------------------- 1.60 ------ 2.00
16507 სტიაუა-რაპიდი(ბ) ------------------ 1.42 ------ 2.30
16508 შალკე-ლევსკი ----------------------- 1.12 ------ 4.00
16509 მიდლსბრო-ბაზელი ----------------- 1.30 ------ 2.70

### გოლი:წყვილი-1ლი კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

17502 მილანი-ლიონი ---------------------- 1.85 ------ 1.95
17503 ვილიარეალი-ინტერი --------------- 1.85 ------ 1.95
17504 ბარსელონა-ბენფიკა ---------------- 1.85 ------ 1.95
17505 იუვენტუსი-არსენალი --------------- 1.85 ------ 1.95
17506 ზენიტი-სევილია -------------------- 1.85 ------ 1.95
17507 სტიაუა-რაპიდი(ბ) ------------------ 1.85 ------ 1.95
17508 შალკე-ლევსკი ----------------------- 1.85 ------ 1.95
17509 მიდლსბრო-ბაზელი ----------------- 1.85 ------ 1.95

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

18502 მილანი-ლიონი ------------------------------------------ 1.45 --------- 2.30
18503 ვილიარეალი-ინტერი ----------------------------------- 2.80 --------- 1.30
18504 ბარსელონა-ბენფიკა ------------------------------------ 1.15 --------- 4.20
18505 იუვენტუსი-არსენალი ----------------------------------- 3.10 --------- 1.25





დიდი შანსია, ვიქტორია რავა და ანგელინა გრიუნი თბილისშიც შეხვდნენ ერთმანეთს

# ევროპამ საქართველოს ვარსკვლავები ანდო

*მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო და ულამაზესი ფრენბურთელი ქალი ვიქტორია რავა ისე წავიდა საქართველოდან, ქართულ ფიცარნაგზე არ ამხტარა და მეტოქე არ დაუქულავებია*

**ახლა** დიდი შანსია, ფრანგულ სუპერგუნდ „კანის“ სუპერმოთამაშე, გლდანში დაბადებულ-გაზრდილი, ევროპის ჩემპიონთა ლიგის სამგზის უძვირფასესი ფრენბურთელი ვიქტორია რავა თბილისში, სპორტის სასახლეში ვიხილოთ. ერთი ეგაა, პირმშვენიერი რავა საქართველოს მეტოქეს საფრანგეთს თუ ჩამოუძლვება, თორემ ჩვენთვის კარგა ხანია, რაც დაიკარგა. სამი წლის წინ საფრანგეთის მოქალაქეობა მიიღო.

ახლა მთავარზე: 2007 წლის ქალთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის „C“ ჯგუფის პირველ წრეს საქართველო, კონკრეტულად კი სპორტის სასახლე უმასპინძლებს. საამისო დასტური ევროპის ფრენბურთის ფედერაციამ ქართულ მხარეს ფაქსით გამოუგზავნა და ზედ მსაჯების და მატჩების განრიგიც დაურთო. ასე რომ, ოთხგუნდა ჯგუფის პირველი წრე თბილისში გაიმართება და ეგებ ამით ჩვენს ნაკრებს ჯგუფიდან გასვლის შანსიც გაუჩნდეს. საქართველოს მეტოქეები საფრანგეთი, გერმანია და ლატვია არიან. 2007 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე პირდაპირ მხოლოდ ჯგუფის პირველადგილოსანი გადის. მეორე ადგილოსანი კი პლეი ოფიდან შეეცდება ჩემპიონატზე მოხვედრას.

თქმა არ უნდა, ჩვენი ჯგუფის ფავორიტები საფრანგეთი და გერმანია არიან. ფრანგების ფავორიტობა ულაპარაკოა, გერმანიას კი ევროპის დონის ვარსკვლავი ანგელინა გრიუნი ჰყავს, რომელიც იტალიურ „ბერგამოში“ თამაშობს და ორიოდ კვირის წინ საკლუბო ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში რავას და მის „კანს“ დაეჩაგრინა.

**ბაჩო სვანიძე**

**C ჯგუფის**
**პირველი წრის განრიგი**

26 მაისი
**საქართველო — საფრანგეთი**
**ლატვია — გერმანია**

27 მაისი
**საქართველო — გერმანია**
**საფრანგეთი — ლატვია**

28 მაისი
**საქართველო — ლატვია**
**გერმანია — საფრანგეთი**

*ჯგუფის მეორე წრე საფრანგეთში 4-6 ივნისს გაიმართება*

ჭადრაკი

**ევროპის ჩემპიონატი**

3-16 აპრილი. კუშადასი. თურქეთი

# ქალები და კაცები თურქეთში გაერთიანდნენ

**3-16 აპრილს** თურქთა საკურორტო ქალაქი კუშადასი ვაჟთა და ქალთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ორივე შეჯიბრი შვეიცარიული სისტემით წარიმართება და მოჭადრაკეები სულ 11 პარტიას ითამაშებენ.

ვაჟთა პირველობაში 36 ქვეყნის 134 სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას და მათ შორის 9 ქართველია. ყველაზე ბევრი მოჭადრაკე ხორვატებს ჰყავთ — 13. შემდეგ მოდიან მასპინძელი თურქეთი 12 კაცით და რუსეთი 10 დიდოსტატით.

ჩემპიონატის მთავარ ფავორიტად 2004 წლის ევროპის ჩემპიონი, უკრაინელი ვასილ ივანჩუკი ჩაითვლება შარშანდელ გამარჯვებულ, რუმინელი ლივიუ-დიტერ ნისიპეანუსთან ერთად.

რეიტინგის მიხედვით, მეექვსეა ზვიად იზორია. 22 წლის ქართველმა დიდოსტატმა შარშან მეტად მნიშვნელოვანი ტურნირები მოიგო, ფიდეს რეიტინგში საკმაო ნახტომი გააკეთა და იმედია, ამაზე არ შეჩერდება. ასევე ვვეიმედება ბაადურ ჯობავასი. მან იანვარში ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირზე „ბ“ ჯგუფში მეოთხე ადგილი დაიკავა და მცირედი დააკლდა ელიტაში ასასვლელად. თებერვალში კი მოსკოვში „აეროფლოტ ოუფენის“ საკმაოდ ძლიერი ტურნირი მოიგო და ზაფხულისთვის მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი, დორტმუნდის სუპერტურნირის საგზურიც დაიბევა. მათ გარდა ჩემპიონატზე ხუთჯვრიანი დროშით გამოვლენ: ლევან ფანცულაია, გიორგი ყაჭეიშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი, მერაბ გაგუნაშვილი, დავით არუთინიანი, კონსტანტინე შანავა, ლევან აროშიძე და არბიტრი ვარლამ ვერხიშვილი.

საპრიზო ფონდი 48 ათასი ევროა, საიდანაც გამარჯვებული 7 ათასს მიიღებს.

შედარებით მოკრძალებული ბიუჯეტი აქვს ქალთა ჩემპიონატს. მათი ფონდი 30 ათასი ევროს შეადგენს — ოქროს მედალოსანი 4 ათასს მიიღებს. ქალთა გათამაშებაში 26 ქვეყნის 91 მოჭადრაკე გამოვა, მათ შორის 7 ჩვენებური. მათგან ყველაზე მაღალი რეიტინგი 19 წლის ნანა ძაგნიძეს აქვს. იგი მეოთხე ადგილზეა და გათამაშების ერთ-ერთი ფავორიტიცაა. ქართველმა დიდოსტატმა ახლახან მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა, თუმც წარუმატებლად, მეორე ეტაპიდან გავარდა. ფავორიტებს შორისაა ლელა ჯავახიშვილიც, რომელიც რეიტინგში ერთი ადგილით ჩამორჩება ძაგნიძეს. მერვე ადგილზეა ნინო ხურციძე. მან მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხედფინალს უწია და იქ მომავალ ფინალისტ ალისა გალიამოვასთან დამარცხდა. მათ გარდა ჩვენი ქვეყნის ღირსებას დაიცავენ: მაია ლომინეიშვილი, სალომე მელია, სოფიო გვეტაძე და ბელა ხოტენაშვილი.

**ლაშა გეგეჭკორი**



# 500-იანი კულჰარდი 13-ზე გაჩერებას არ აპირებს

**შოტლანდიელი** მეფორმულე დევიდ კულჰარდი, არა გვგონია, ამგვარი საკარიერო დამრგვალებით მაინცდამაინც ნასიამოვნები იყოს.



კვირას ავსტრალიის დიდი პრიზისთვის ბრძოლა 35 წლის პილოტმა მხოლოდ მეცხრე, უქულო ადგილზე დაასრულა. მაგრამ სტიუარდებმა რამდენიმე საათის შემდეგ განიხილეს რბოლისას მომხდარი ინციდენტი და ამერიკელი ახალბედა სკოტ სპიდი ტრასაზე ყვითელი დროშებისას სწორედ კულჰარდის გასწრებისთვის 25-წამიანი პენალტით დასაჯეს. ეს დრო „სკუდერია ტორო როსოს“ მძღოლის შედეგს დაემატა, რის გამოც ერთი ადგილით ჩამოქვეითდა და რომ ეგონა, ეგაა, მერვე პოზიციით კარიერაში პირველი ქულა ვიშოვეო, მშრალზე დარჩა.

ეს კიდევ არაფერი. როცა კონფლიქტის მონაწილეები გარჩევაზე დაიბარეს, 23 წლის ოკეანისგაღმელმა 12 წლით უფროს კოლეგას უცენზურო სიტყვები აკადრა, რაზეც 5 000-დოლარიანი ჯარიმაც მიართვეს.

ერთი სიტყვით, ამგვარი მოულოდნელი საჩუქრით დევიდს 13-სეზონიან კარიერაში 500 ქულა დაუგროვდა და ამ მაჩვენებლით „სამეფო რბოლების“ ისტორიაში მეოთხე პილოტი გახდა.

ავსტრალია „დი-სის“ (დევიდ კულჰარდის ინიციალებიანი მეტსახელი) 196-ე ეტაპი იყო. მისი საპირველფორმულო დებიუტი 1994 წელს შედგა სერ ფრენკ უილიამსის გუნდში, სადაც იმოლაში დაღუპული ლეგენდარული აირტონ სენა შეცვალა.

დევიდმა ორი წლის შემდეგ „უილიამსი“ „მაკლარენზე“ გაცვალა და სწორედ ამას თვლის თავის უდიდეს საკარიერო შეცდომად, შემეძლო, ერთი-ორი საზონი დავრჩენილიყავი და უკეთესი შედეგებისთვის მიმეღწიაო. არადა, „მაკლარენში“ ცხრა სეზონი იჯირითა, 13 დიდი პრიზი მოიგო და 2001 წელს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონობაც მოიპოვა. გულნატკენი კი უფრო იმიტომაა, რომ ორჯერ აიძულეს, პრაქტიკულად უკვე მოგებული რბოლა თანაგუნდელ მიკა ჰაკინენისთვის დაეთმო.

კულჰარდი წლევანდელ 22-მრბოლიან ქარავანში ასაკით მეორეა 37 წლის მიხაელ შუმახერის შემდეგ. ბევრნი უკვე მის საპენსიოდ გადადგომაზე ლაპარაკობენ, თუმც თავად ფორმულის მიტოვებას არ აპირებს:

„რბოლები დღესაც სიამოვნებას მანიჭებს და წასვლაზე ჯერ არ ვფიქრობ, რადგან რბოლის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. რატომ უნდა ვთქვა უარი საყვარელ საქმეზე? გაისადაც „რედ ბულში“ ვიქნები და დარწმუნებული ვარ, მე-14 დიდი პრიზის მოგებას შევძლებ. თორემ, რაღაც ძალიან დიდხანს გავჩერდი ამ დანავსულ ციფრზე.“

დევიდმა ბოლო გამარჯვება 2003 წლის 9 მარტს სწორედ ავსტრალიაში მოიპოვა. მაღალ (182 სმ), სიმპათიურ ბრიტანელს საქმე საათივით აქვს აწყობილი. ფული და თაყვანისმცემელთა ყურადღება არ აკლია. ცხოვრობს მონტე კარლოში, თავის საკუთარ სასტუმროში. მესამე წელია, მეგობრობს ბრაზილიელ მოდელ სიმონესთან, თუმც დაოჯახებას ჯერ მაინც არ აპირებს.

**გია ახალაძე**

**ყველაზე მეტქულიანების ოცეული**

| | მრბოლი | ქვეყანა | ქულა | მოგება |
|---|---|---|---|---|
| 1 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | 1259 | 84 |
| 2 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | 798,5 | 51 |
| 3 | აირტონ სენა | ბრაზილია | 614 | 41 |
| 4 | დევიდ კულჰარდი | დიდი ბრიტანეთი | 500 | 13 |
| 5 | რუბენს ბარიკელო | ბრაზილია | 491 | 9 |
| 6 | ნელსონ პიკე | ბრაზილია | 485,5 | 23 |
| 7 | ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | 482 | 31 |
| 8 | ნიკი ლაუდა | ავსტრია | 420,5 | 25 |
| 9 | მიკა ჰაკინენი | ფინეთი | 420 | 20 |
| 10 | გერჰარდ ბერგერი | ავსტრია | 385 | 10 |
| 11 | ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | 360 | 27 |
| | დეიმონ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | 360 | 22 |
| 13 | რალფ შუმახერი | გერმანია | 311 | 6 |
| 14 | კარლოს რუტმანი | არგენტინა | 310 | 12 |
| 15 | კიმი რაიკონენი | ფინეთი | 295 | 9 |
| 16 | ხუან-პაბლო მონტოია | კოლუმბია | 290 | 7 |
| 17 | გრემ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | 289 | 14 |
| 18 | ემერსონ ფიტიპალდი | ბრაზილია | 281 | 14 |
| | რიკარდო პატრეზე | იტალია | 281 | 6 |
| 20 | ხუან-მანუელ ფანხიო | არგენტინა | 277,6 | 24 |
| 21 | ფერნანდო ალონსო | ესპანეთი | 275 | 10 |
| ... | | | | |
| 27 | ჟაკ ვილნევი | კანადა | 233 | 11 |
| ... | | | | |
| 34 | ჯანკარლო ფიზიკელა | იტალია | 188 | 3 |
| ... | | | | |
| 42 | ჯენსონ ბატონი | დიდი ბრიტანეთი | 178 | 0 |

# საქართველოს ჩემპიონატი



ლევან მოსეშვილი



დავით უსტიაშვილი

# მცირე ჩემპიონის დაბადება

## ავიაშენი და თსუ კომედიაში არ მონაწილეობენ

**დღეს** რეგულარული ჩემპიონატის მთავარი მატჩია. პირველადგილოსანი „თსუ-ნიკორა“ მდევარ „ავიაშენს“ ხვდება და ამ ჯახში გამარჯვებული თითქმის გაინაღდებს პლეიოფამდელ „ჩემპიონობას“.

სამიოდ კვირის წინ სწორედ ამ გუნდებმა გაითამაშეს საქართველოს თასი და მაშინ გამარჯვებული „თსუ-ნიკორა“ გამოვიდა. სტუდენტებისაა ჩემპიონატის პირად შეხვედრებში უპირატესობაც — 2:1. მიუხედავად ამისა, „ავიაშენის“ მწვრთნელი ლევან მოსეშვილი იმედიანადაა და შანსებს სათავისოდ აფასებს. რეგულარულის მოგება პრინციპის ამბავია და ამიტომ ილვწიან ლიდერები, თორემ შესაძლოა, პირველობამ მთლად სიკეთე ვერც მოუტანოს ამ მატჩის მომგებს. აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება საპლეიოფო მეტოქე: არც „ავია“ მალავს და არც თსუ, რომ ნახევარფინალში „აზოტთან“ თამაში არ სურთ.

„ავიაშენმა“ და თსუ-მ დღეს უნდა გაარკვიონ პირველი ადგილის მფლობელი, ხოლო „აზოტი“ მესამეობისთვის მოცილე სტუ-ს ერთი კვირის შემდეგ, ბოლო ტურში ეთამაშება და მერე უკვე თავად აირჩევს სანახევარფინალო მეტოქეს. თუმც აქ მთლად კურიოზულადაა საქმე. „აზოტს“ ხელს არ აძლევს „ავიაშენთან“ ფინალამდე შეხვედრა და ასევე ფიქრობს სტუ-ც. ანუ თუ დღევანდელი მატჩი თსუ-მ მოიგო და პირველობა გაინაღდა, „აზოტი“ — სტუ-ს ბოლო ტურის მატჩში ორივე გუნდს წაგება მოუნდება, რათა მეოთხეზე გავიდნენ და ნახევარფინალში „ავიაშენს“ ასცდნენ.

ერთი სიტყვით, თუ გუნდებმა სპორტულ პრინციპებზე ხელი აიღეს და საპლეიოფო მეტოქის შერჩევაზე იწყეს ფიქრი, შესაძლოა, ბოლო ტურში დიდი კომედია გათამაშდეს „აზოტისა“ და სტუ-ს მატჩში. მანამდე კი დღეს თსუ — „ავიაშენია“ და ამ გუნდების მწვრთნელ-მოთამაშეებმა კაფე „მსოფლიო სპორტში“ ტრადიციული პრესკონფერენცია გამართეს...

*დავით უსტიაშვილი, „თსუ-ნიკორას“ მთავარი მწვრთნელი:*

— ჩემპიონატის დაწყებიდან ვლიდერობთ და ახლა რომ დავკარგოთ პირველობა, ძალიან გვეწყინება. აქამდე მოვედით და დიდი სურვილი მაქვს, კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. ჩვენ არ გვაინტერესებს, ვის შევხვდებით პლეიოფში, ხვალინდელ მატჩში მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნით, მოსაგებად გავალთ მოედანზე. მეტოქე ძალიან ძლიერია და გამოცდილი მოთამაშეებიც საკმარისად ჰყავს. ვერ დაგვეხმარება ფეხმტკივანი დავით საყვარელიძე, თუმც გამოგვიჯანმრთელდნენ დავით მუშკუდიანი და ვაკო ბეჟანიშვილი, რაც ჩვენთვის დიდი ძალაა. შანსებს თანაბრად შევაფასებ.

*ლევან მოსეშვილი, „ავიაშენის“ მთავარი მწვრთნელი:*

— დაშავებულები არ გვყავს და მზად ვართ, ბოლომდე ვიბრძოლოთ. არ გვაინტერესებს, ვის შევხვდებით პლეიოფის პირველ წრეში, ჩვენ მხოლოდ პირველობისთვის ვიბრძვით. ახლაც ძალის ნაკბენივით მახსოვს, შარშან რომ სტუ-ს ბოლო ტურში მოვუგეთ, პირველ ადგილზე გადავედით და მერე ამ გუნდთან ფინალში წავაგეთ. რაც შეეხება ხვალინდელი მატჩის პროგნოზს, ვფიქრობ, რომ უკეთესი შანსი ჩვენ გვაქვს.

პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ კალათბურთის ფედერაციის პრესატაშე ზურაბ თალაკვაძემ საოლსტარო მატჩის დამწყები ხუთეულები გამცნო, რომელიც ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად შეირჩა.

ოლ სტარი ვერის ბაღში 16 აპრილს გაიმართება და თავდაპირველად მოედანზე ეს მოთამაშეები გავლენ: პირველ გუნდში ითამაშებენ *რამაზ გოგობერიშვილი (აზოტი), ბესიკ ლეჟავა (თსუ), ვლადიმერ ბეჟანიშვილი (თსუ), ზვიად ბაბიაშვილი (აზოტი) და ლადო სუხიშვილი (დინამო).*

მეორე გუნდი: *კოტე ტუღუში (ავიაშენი), ირაკლი ხოშტარია (ავიაშენი), ლუკა შანიძე (სტუ), გიორგი მარკოიშვილი (ავიაშენი), რიჩარდ მათიაშვილი (სტუ)*

გუნდები 31 მარტის სატურნირო ცხრილის მიხედვით გაიყო. „ავიაშენი“, სტუ, „მაკაბი“, სსუ — თსუ-ს, „აზოტის“, „დინამოსა“ და „ქუთაისის“ წინააღმდეგ.

პირველ კრებულს ლევან მოსეშვილი უთავკაცებს, მეორეს — დავით უსტიაშვილი. დანარჩენ 7 სათადარიგო მოთამაშეს თავად ეს მწვრთნელები შეარჩევენ.

**ირაკლი პერტაია**

ქუთაისი. 3 აპრილი

**ქუთაისი 90:97 დინამო**

4 აპრილი

| | |
|---|---|
| **სსუ — აზოტი** | 12.00 |
| **სტუ — მაკაბი** | 14.00 |
| **ავიაშენი — თსუ** | 16.00 |

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თსუ | 25 | 21 | 4 | +328 | 44 |
| ავიაშენი | 25 | 21 | 4 | +498 | 44 |
| სტუ | 25 | 17 | 8 | +147 | 40 |
| აზოტი | 25 | 17 | 8 | +345 | 40 |
| დინამო | 26 | 11 | 15 | +39 | 36 |
| მაკაბი | 25 | 7 | 18 | -387 | 31 |
| ქუთაისი | 26 | 5 | 21 | -276 | 29 |
| სსუ | 25 | 2 | 23 | -679 | 26 |

*ქუთაისს დაკლებული აქვს ერთი ქულა*

# NBA

## რეგულარული ჩემპიონატი

31 მარტი

**ატლანტა 88:91 ნიუ ჯერსი**

ატლანტა: ჯონსონი (22), აივი (2), სმიტი (17), ჰარინგტონი (15), ფაჩულია (31 წუთი, 8 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება); ჩილდრესი (13), უილიამსი (9), გრანდი (2), ედვარსდი, სმიტი

ნიუ ჯერსი: კიდი (11), კარტერი (26), ჯეფერსონი (27), კოლინზი (5), კრსტიჩი (4); რობინსონი (7), პლანინიჩი (4), ვონი (4), მიურეი (3), რაიტი

**ტორონტო 126:140 ფინიქსი**

ტორონტო: პიტერსონი (38)

ფინიქსი: ბარბოსა (28)

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**ორლანდო 108:99 დალასი**

ორლანდო: ნელსონი (27)

დალასი: ნოვიცკი (38)

**შარლოტი 107:113 ჩიკაგო**

შარლოტი: ჯონსი (28)

ჩიკაგო: ნოჩიონი (24)

**ნიუ ორლეანი 107:102 მემფისი**

ნიუ ორლეანი: მ. ჯეკსონი (24)

მემფისი: ბ. ჯეკსონი (26)

**ნიუ იორკი 112:117 ფილადელფია**

ნიუ იორკი: რობინსონი (34)

ფილადელფია: აივერსონი (47)

**დეტროიტი 112:105 მილუოკი**

დეტროიტი: პრინსი (25)

მილუოკი: რედი (35)

**ჰიუსტონი 105:103 ვაშინგტონი**

ჰიუსტონი: მინგი (38)

ვაშინგტონი: ჯემისონი (28)

**დენვერი 106:94 მილუოკი**

დენვერი: ენტონი (32)

მილუოკი: გარნეტი (22)

**კლიპერსი 106:91 იუტა**

კლიპერსი: ბრენდი (22)

იუტა: ოქური (18)

**გ. სტეიტი 93:96 საკრამენტო**

გოლდენ სტეიტი: დანლივი (24)

საკრამენტო: ველსი (22)

**სიეტლი 93:106 ლეიკერსი**

სიეტლი: ალენი (29)

ლეიკერსი: ბრაიანტი (43)

1 აპრილი

**კლივლენდი 106:99 მაიამი**

კლივლენდი: ჯეიმსი (47)

მაიამი: ვეიდი (44)

**მილუოკი 96:89 ინდიანა**

მილუოკი: რედი (39)

ინდიანა: ონილი (27)

**პორტლენდი 89:102 იუტა**

პორტლენდი: რენდოლფი (24)

იუტა: კირილენკო (23)

**ჩიკაგო 100:94 ბოსტონი**

ჩიკაგო: ჰაინრიხი (24)

ბოსტონი: შერბიაკი (28)

**სან ანტონიო 106:99 ვაშინგტონი**

სან ანტონიო: პარკერი (28)

ვაშინგტონი: არენასი (31)

2 აპრილი

**მემფისი 98:87 ატლანტა**

მემფისი: ეტკინსი (19)

ატლანტა: სმიტი (26)

*ფაჩულიას არ უთამაშია სურდოს გამო*

**დეტროიტი 109:102 ფინიქსი**

დეტროიტი: ბილაფსი (35)

ფინიქსი: მარიონი (32)

*ცქიტიშვილს არ უთამაშია*

**მინესოტა 106:104 გ. სტეიტი**

*ძირითადი დრო 92:92*

მინესოტა: ბანქსი (24)

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (23)

**ნიუ ჯერსი 90:78 მაიამი**

ნიუ ჯერსი: კარტერი (43)

მაიამი: ვეიდი (32)

**ტორონტო 113:120 ნიუ ორლეანი**

*ძირითადი დრო 95:95*

ტორონტო: პიტერსონი (27)

ნიუ ორლეანი: პოლი (24)

**სიეტლი 122:83 პორტლენდი**

სიეტლი: ალენი (24)

პორტლენდი: ვებსტერი (14)

**დალასი 103:79 დენვერი**

დალასი: ნოვიცკი (30)

დენვერი: ენტონი (25)

**ლეიკერსი 104:88 ჰიუსტონი**

ლეიკერსი: ბრაიანტი (43)

ჰიუსტონი: მინი (33)

**ფილადელფია 114:95 ნიუ იორკი**

ფილადელფია: აივერსონი (32)

ნიუ იორკი: კროუფორდი (23)

**შარლოტი 97:101 კლივლენდი**

შარლოტი: ფელტონი (20)

კლივლენდი: ჯეიმსი (35)

**საკრამენტო 106:96 კლიპერსი**

საკრამენტო: არტესტი (26)

კლიპერსი: კამანი (20)



# NHL რეგულარული ჩემპიონატი

31 მარტი

**ანაჰაიმი 5:4 დალასი**

*2:2 1:1 1:1 0:0*

*1:0 ბულიტების სერიაში*

1:0 კუნიცი (1), 1:1 სტივენსონი (12), 2:1 პოლსონი (14), 2:2 რობიდა (14), 2:3 არნოტი (27), 3:3 ფედორიუკი (38), 3:4 მოროუ (42), 4:4 მაკდონალდი (48), 5:4 გადამწყვეტი ბულიტი: რ. ნიდერმაიერი

**კაროლინა 3:2 ფლორიდა**

*1:1 1:1 1:0*

0:1 გრეტონი (5), 1:1 უიტნი (20), 2:1 რეკი (24), 2:2 ვან რინი (29), 3:2 კრ. ადამსი (62)

**სენტ ლუისი 2:4 კოლუმბუსი**

*1:1 0:2 1:1*

1:0 ტკაჩუკი (2), 1:1 ბალაშტიკი (13), 1:2 ჩიმერა (25), 1:3 ნეში (37), 1:4 ნეში (43), 2:4 მაიერსი (51)

**კალგარი 6:3 კოლორადო**

*1:2 3:0 2:1*

1:0 კობასიუ (4), 1:1 საკიკი (15), 1:2 საკიკი (15), 2:2 საიმონი (24), 3:2 მაკდონალდი (33), 4:2 ლენგკოუ (39), 4:3 მაკორმიკი (46), 5:3 დონოვანი (50), 6:3 ლომბარდი (52)

**ვანკუვერი 1:2 მინესოტა**

*0:0 1:1 0:0 0:0*

*0:1 ბულიტების სერიაში*

0:1 მ. შუინარი (30), 1:1 კარტერი (40), 1:2 გადამწყვეტი ბულიტი: მ. კოივუ

**დეტროიტი 2:3 ჩიკაგო**

*1:0 0:1 1:1 0:1*

1:0 აიზერმანი (11), 1:1 კალენი (37), 1:2 ლაპოინტი (55), 2:2 დაციუკი (60), 2:3 შარპი (62)

**აილენდერსი 0:4 პიტსბურგი**

*0:0 0:3 0:1*

0:1 გონჩარი (32), 0:2 ლეკლერი (34), 0:3 კროსბი (39), 0:4 გონჩარი (59)

1 აპრილი

**სან ხოსე 3:4 ფინიქსი**

*0:1 0:2 3:0 0:1*

0:1 რაინპრეხტი (15), 0:2 სენდერსონი (23), 0:3 რაინპრეხტი (34), 1:3 კეირლი (43), 2:3 ჩიჩუ (52), 3:3 ჰენანი (57), 3:4 რაინპრეხტი (64)

**ფილადელფია 1:4 ნიუ ჯერსი**

*0:1 0:2 1:1*

0:1 მედენი (5), 0:2 გომესი (35), 0:3 უიმერი (36), 1:3 განიე (44), 1:4 ბრილინი (57)

**მონრეალი 2:0 ბოსტონი**

*0:0 1:0 1:0*

1:0 მიურეი (36), 2:0 მიურეი (48)

**ატლანტა 5:2 კაროლინა**

*2:0 3:2 0:0*

1:0 სავარი (12), 2:0 სლეიტერი (14), 3:0 კოვალჩუკი (25), 3:1 კალენი (33), 4:1 კოვალჩუკი (34), 5:1 კოზლოვი (35), 5:2 ბრინდამორი (40)

**კოლუმბუსი 5:2 ჩიკაგო**

*0:0 1:1 4:1*

0:1 ბოჩენსკი (24), 1:1 ჟერდევი (40), 1:2 კოლდერი (45), 2:2 ჰარტიგანი (45), 3:2 ბალაშტიკი (48), 4:2 ჰარტიგანი (56), 5:2 ვიბორნი (60)

**ტორონტო 7:0 ბუფალო**

*5:0 0:0 2:0*

1:0 ონილი (3), 2:0 უაიტი (5), 3:0 დომი (6), 4:0 ანტროპოვი (7), 5:0 ანტროპოვი (16), 6:0 პონიკაროვსკი (45), 7:0 სტეიჯენი (51)

**ფლორიდა 4:2 ტამპა**

*2:1 2:0 0:1*

1:0 ჰორტონი (1), 1:1 სან ლუი (7), 2:1 ნუინდაიკი (19), 3:1 იოკინენი (29), 4:1 ნუინდაიკი (36), 4:2 სიდორი (44)

**ოტავა 0:1 ვაშინგტონი**

*0:0 0:1 0:0*

0:1 ზუბრუსი (40)

**ნეშვილი 2:1 სენტ ლუისი**

*0:1 0:0 2:0*

0:1 გლუმაკი (12), 1:1 სილინჯერი (41), 2:1 ერატი (44)

**ედმონტონი 1:4 კალგარი**

*0:1 1:2 0:1*

0:1 ლენგკოუ (1), 0:2 ჰუსელიუსი (22), 0:3 ჰუსელიუსი (25), 1:3 ჰორკოფი (25), 1:4 ფერენსი (43)

**ლოს ანჯელესი 1:0 დალასი**

*1:0 0:0 0:0*

1:0 რენიკი (11)

2 აპრილი

**ანაჰაიმი 6:2 ვანკუვერი**

*2:1 3:0 1:1*

0:1 ბერტუცი (9), 1:1 სელიანე (12), 2:1 პოლსონი (12), 3:1 ბუშმენი (24), 4:1 გეცლაფი (30), 5:1 პოლსონი (32), 5:2 ოლუნდი (48), 6:2 სელიანე (56)

**პიტსბურგი 2:3 ნიუ ჯერსი**

*2:0 0:1 0:1 0:1*

1:0 კროსბი (19), 2:0 არმსტრონგი (20), 2:1 პანდოლფო (21), 2:2 ელიაში (60), 2:3 ჯიონტა (63)

**მინესოტა 2:3 დეტროიტი**

*1:1 1:2 0:0*

1:0 ბუშარი (2), 1:1 ზეტერბერგი (15), 1:2 ლანგი (31), 1:3 შენაჰანი (34), 2:3 გაბორიკი (37)

**აილენდერსი 1:4 ფილადელფია**

*0:3 0:0 1:1*

0:1 კნუბლი (5), 0:2 უიმერგერი (10), 0:3 კარტერი (20), 1:3 ბეიტსი (42), 1:3 კაპანენი (58)

DAVIS CUP BNP PARIBAS

**დევისის თასი. მეორე ევრო-აფრიკული ჯგუფი. პირველი წრე. სპორტის სასახლე. 7–9 აპრილი**

# აანთეთ შუქი!



*პარასკევიდან კვირის ჩათვლით სპორტის სასახლე დევისის თასის შეხვედრებს უმასპინძლებს. მეორე ევრო-აფრიკული ჯგუფის პირველ წრეში საქართველო სამხრეთ აფრიკას დაუპირისპირდება და თუ მოიგო, პირველ ჯგუფამდე ერთი მეტოქის ჩამოცილებაღა დარჩება, თუ დამარცხდა და, ასევე ერთ მეტოქესთან გაარკვევს ჯგუფში დამრჩენ-გასავარდნის ვინაობას*

ირაკლი ლაბაძე

აფრიკელების მეორე ნომერი ჰეფ, გაგიკვირდებათ და, კუცია

ბადრი კეთილაძის ფოტო

## ქართველებმა საქართველოში მიწა ინატრეს

საქართველოს და სამხრეთ აფრიკის ნაკრებები სპორტის სასახლეში დღეში ორჯერ ვარჯიშობენ. გუშინდელი საღამოს ვარჯიშზე სამხრეთაფრიკელებსაც და ქართველებსაც თითო კაცი აკლდათ. სტუმრებს ლიდერი, მსოფლიო რეიტინგსიის ასეულის ბინადარი ვესლი მუდი. მასპინძლებს კი — გუნდის მეორე ნომერი ლადო ჩიხლაძე. ორივე დღეს უნდა ჩამოვიდეს თბილისში.

გუშინ დღის მეორე ნახევარში კორტზე პირველები აფრიკელები გავიდნენ და დაახლოებით საათნახევარი ივარჯიშეს. ოსტატობის რა გითხრათ, მონდომება კი აშკარად ეტყობოდათ. არც სისწრაფე დაეწუნებოდათ. წინასწარ გამოგზავნილ შემადგენლობას, მუდის გარდა, სავარაუდო მესამე ნომერი კევინ ანდერსონიც აკლდა. აფრიკელებს მის ნაცვლად ორი შედარებით სუსტი ჩოგბურთელი, სტივენ მიჩელი და ერიკ ფიშერი ჩამოუყვანიათ, თუმცა საეჭვოა, ეს ორნი სათამაშოდ გავიდნენ, ვიდრე შეხვედრის ბედი არ გადაწყდება.

ნავარჯიშევს აფრიკელთა ახმახ კაპიტანს ჯონ-დაფნი დე იახერის გამოველაპარაკეთ. საკმაოდ ოპტიმისტურად და საქმიანად გამოიყურებოდა:

*— რამდენიმე დღეა, აქ ვართ და ამ დარბაზში ვვარჯიშობთ. ხვალიდან ვესლი მუდიც შემოგვიერთდება და სრულად დავიტვირთებით. მოკლედ, ნაყოფიერად ვემზადებით და პესიმიზმის საბაბი ნამდვილად არ გვაქვს.*

*— მეტოქეებზე რა იცით?*

*— ვიცით, რომ გყავთ ერთი ძლიერი მოთამაშე ირაკლი ლაბაძე, რომელიც სტაბილურად შედის ასეულში და რომელსაც ძლიერი მოწოდება აქვს. სხვა მოწინააღმდეგეებზე დიდი ინფორმაცია არ გვაქვს, მაგრამ თქვენ მასპინძლები ხართ და ამ მხრივ გარკვეული უპირატესობაც გაქვთ. ჩემი აზრით, ბრძოლა მაინც თანაბარი იქნება და ვიმედოვნებ, უკეთესი გუნდი მოიგებს.*

*— ეს ძალიან ხმაურიანი დარბაზია...*

*— მერე რა მოხდა, ხმაურს მიჩვეულები ვართ. თუ გულშემატკივრობა ობიექტური იქნება, თამაშებს გაალამაზებს კიდეც ეს ხმაური.*

გელა ელერდაშვილის გუნდმაც საათნახევარიანი ვარჯიში იკმარა, თუმც ნაკლებად განათებულ დარბაზში. ირაკლი ლაბაძემ ბარე ათჯერ მაინც ითხოვა განათების მომატება, მაგრამ ამაოდ. მიზეზად სარემონტო სამუშაოები დასახელდა, არადა, ქართველების ვარჯიშის დაწყებამდე ორიოდ წუთით ადრე, დარბაზი მთლიანად გაანათეს. მხოლოდ რამდენიმე წამით, ტურნირის მთავარი მსაჯისთვის რომ ეჩვენებინათ. საქართველოს ნაკრების ლიდერი საფარმაც გვარიანად აანერვიულა. „ასეთ საფარზე ჩვენი შანსები მინიმალურია — გვითხრა მოგვიანებით ირაკლიმ — სისწრაფეზე რომ არაფერი ვთქვა, ისეთი რბილია, ბურთი თითქმის არ დახტის. ზედაპირიც აშკარად არაა სწორი, რაც იატაკისბრალია. მიწაზე რომ გვეთამაშა, მეტოქესთან ორქულიანი უპირატესობა გვექნებოდა, ახლა კი...“

მიწის საფარი რომ საქართველოს ნაკრების წისქვილზე დაასხამდა წყალს, გელა ელერდაშვილმაც აღნიშნა, თუმც იქვე დასძინა, ისეთი პერიოდია, ამინდს ვერ ენდობი და წვიმის შემთხვევაში, შეიძლებოდა, რისკი დამღუპველი ყოფილიყო. ნაკრების კაპიტანს ჩიხლაძეზეც ვკითხეთ.

„ლადო ტურნირს თამაშობდა და გვიან ამიტომ ჩამოდის. შესაძლოა, ხვალ მეორე ვარჯიშზე უკვე გუნდთან ერთად იყოს.“

**ოთარ მაღლაკელიძე**

**კიბისკეინი. აშშ. ჰარდი**

კაცები. საპრიზო 3 450 000 $

**ფინალი**

**როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ივან ლიუბიჩიჩი (6, ხორვატია) — 7:6 7:6 7:6**

## ამერიკა შვეიცარიელს

## ფედერერმა კონტინენტი დაიჩემა

როჯერ ფედერერმა მორიგი ტურნირი მოიგო და მისი თამაშის შემყურეთ მხოლოდ ერთი კითხვა გვებადება — წააგებს კიდევ საერთოდ? შვეიცარიელმა ჯადოქარმა წლეულს უკვე მეოთხედ მოგება მოასწრო. არადა, ყოველი ტურნირის დასაწყისში საკმარისია, როჯერმა ცოტა წაიფორხილოს, რომ ყველა მის ცუდ ფორმასა თუ უმოტივაციობაზე იწყებს საუბარს... ფედერერი კი ყოველ კვირას შესაშური სტაბილურობით ამტკიცებს, რომ მას არც ერთი და არც მეორე არ ემუქრება.

ამჯერად ფედერერის მსხვერპლი შეიქნა მშვენივრად მოთამაშე ივან ლიუბიჩიჩი შეიქნა. ხორვატი ტურნირის მიმდინარეობისას ისეთ კარგ ფორმაში შევიდა, რომ ბევრს იმედი ჩაესახა ფედერერს ეგებ გაუჭირდეს მისი დამარცხებაო.

გაჭირვებით ცოტა კი გაუჭირდა, მაგრამ „მხიარულმა როჯერმა“ მატჩი მაინც სამ სეტში მოიგო, თუმც სამივეში ტაიბრეიკში მოუწია თამაში. ლიუბიჩიჩი თავისი სიძლიერის ხარჯზე ავად თუ კარგად ახერხებდა თავისი ჩაწოდებების მოგებას და ამიტომაც გახდა საჭირო სამივე სეტში ტაიბრეიკი. მაგრამ აქ შვეიცარიელი უმაღლეს კლასის და მეტოქის გამაოგნებელ კომბინაციების ხარჯე მაინც ახერხებდა ყველაზე მნიშვნელოვანი გათამაშებების მოგებას. სწორედ ამიტომაც მოათავა ეს საქმეც ფედერერმა მხოლოდ სამ საათში.

ხორვატს მატჩის შემობრუნების შანსი მესამე სეტში ჰქონდა, როცა თავიდან 2:0 დაწინაურდა, შემდეგ 6:5 მიჰყავდა, ხოლო ტაიბრეიკზე სეტ-პოინტიც ებოძა, მაგრამ ფედერერმა ყველა ეს წინაღობა საკმაოდ იოლად გადალახა და საქმე მაინც სამ სეტში მოამთავრა.

ფედერერისთვის ეს კარიერაში მეათე მოგებული მასტერსი იყო და ამ მაჩვენებლით ის პიტ სამპრასსა და ანდრე აგასის დაეწია. ამასთანავე შვეიცარიელი პირველია, ვინც უკვე მეორე წელია, ახერხებს ზედიზედ ორი მასტერსის — ინდიან უელსისა და კიბისკეინის მოგებას. გარდა ამისა, როჯერი ამერიკის მიწაზე 48 მატჩია, დაუმარცხებელია. მან „ახალ სამყაროში“ ბოლოს 2004 წელს(!), ცინცინატის პირველ წრეში წააგო დომინიკ ჰრბატისთან.

„კარგი მატჩი ჩავატარე და ამ თამაშით ნებისმიერს მოვუგებდი, მაგრამ როჯერთან რას გახდები. ის ყოველთვის ყველაზე კარგად მაშინ თამაშობს, როცა გადამწყვეტი მომენტი დგება. ხანდახან შთაბეჭდილება იქმნება, რომ მას ნერვები საერთოდ არა აქვს. ალბათ სწორედ ამით განსხვავდება როჯერი დანარჩენებისგან, თითქმის შორსაც არ ვიყავი მოგებისგან — ყველა სეტში ტაიბრეიკი დაგვჭირდა — მაგრამ მერე და მერე რომ გამახსენდება, ალბათ მაინც ვიამაყებ თამაშის იმ დონით, რომელიც დღეს ვაჩვენე“ — თქვა ფინალის შემდეგ ლიუბიჩიჩმა.

**ბახა ლომაშვილი**




**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge